პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი ხუთშაბათი 10 დეკემბერი № 283 (18225) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამი შეკითხვა ჩამორჩენილი უბნის ხელმძღვანელს

1. რამ გამოიწვია და რით შეიძლება აიხსნას ჩამორჩენა?

2. რა ღონისძიებები ხორციელდება ჩამორჩენის დასაძლევად?

3. შეგვეძვთ თუ არა ნაკლოვანებების გამოსწორების უნარი?

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტის ამ შეკითხვებზე დღეს გვიპასუხებს თბილისის წინდის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი უ. ქართველიშვილი. ჩამორჩენა, რომელმაც აქ მეათე ხუთწლედის ბოლო წლებში იჩინა თავი, კვლავ გრძელდება. ჯერჯერობით შემცირების მიმართულებით გეგმის კორექტირებამაც ვერ უშველა ამ ორგანიზაციას, რომ თავი დაეღწია მეტად არასასიამოვნო მდგომარეობისათვის.

1. დავიწყებ იმით, რომ პირადად მე, — თქვა უ. ქართველიშვილმა, — გაერთიანება მიმდინარე წლის აპრილში ჩავიბარე. ჩავიბარე იგი მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში: სახელმწიფო გეგმები არც ერთი ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით არ სრულდებოდა; სათანადო დონეზე ვერ იყო შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა.

მეორე კვარტალიდან საქმეს განმოსწორება დაეტყო. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალებები, წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმები. თითქოსდა, საქმე წინ უნდა წასულიყო, ამისათვის განვეწყვეთ, ამისათვის ვიბრძოდით. ასე განსაჯეთ, მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სისტემაში მეორე ადგილიც კი დავისაკუთრეთ და სათანადო პრემიაც მივიღეთ. ამ მასტიმულირებელმა ძალამ გამოაცოცხლა კოლექტივი და ეხელოვნა შემატა მას ახალი, უფრო დიდი მიჯნების მისაღწევად. სამწუხაროდ, ასე დიდხანს არ გაგრძელებულა, კვლავ დაგვაღალატეს ნედლეულის მომწოდებლებმა. საერთოდ, წლის დასაწყისიდან ვერ მივიღეთ კუთვნილი 127 ტონა ბამბის ძაფი და 17 ტონა ელასტიკი.

საქმე იმანაც გაართულა, რომ მე მხოლოდ ოთხი თვის დანიშნული ვიყავი გაერთიანების გენერალურ დირექტორად, როცა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მიმავლინეს. კურსები, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ იქნება უკეთესი იქნებოდა ჯერ ჩემს კოლექტივთან ერთად საქმისთვის მიმეხედა და წარმოების სავალალო მდგომარეობა გამომესწორებინა. მით უმეტეს, რომ მსუბუქ მრეწველობაში ახალბედა არა ვარ, ვარ ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, გახლდით არა ერთ და ორ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე. ასეა თუ ისე, ჩამორჩენა მესამე კვარტალშიც გაგრძელდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წლეულს შარშანდელი ყველა კვარტალის მაჩვენებელთან შედარებით საქმის ვითარება უკეთესია. ცოდვა გამხელილი ჯობსო. ნათქვამია, და გაერთიანების ძმიე ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქებას „ხელი შეუწყო“ გეგმების კორექტირებამ, მაგრამ ამით შემხმარებელს მილიონ წყვილ წინდას დავაკლებთ. ამას დაუმატეთ კიდევ ის ერთი მილიონი წყვილი, რომელსაც ნედლეულისა და ელექტროენერგიის ხშირი უქონლობით ვერ გამოვუშვებთ, და ეგეც ორი მილიონი.

დიახ, ელექტროენერგიაც თავისას „აკეთებს“, მისი ხშირი გამოთიშვის გამო წამდაუწუმ უქმად ვდგავართ. მარტო 9 თვეში 46.519 მანქანა-საათი გაკდა. ამის მიზეზი კი ძირითადად, ქსელის გაუვანლობის სიძველეა, იგი დღეში რამდენჯერმე გამოდის მწყობრიდან. წლების განმავლობაში რატომღაც ამ პრობლემის გადაჭრისათვის თავს არ იწუხებენ, არადა, ქსელი, რომელშიც ჩვენ ვართ ჩართული, თბილისის კიროვის რაიონში განლაგებული მსუბუქი მრეწველობის სხვა საწარმოებსაც აწვდის ენერგიას.

2. ახლა მთელი ჩვენი მეცადინეობის მიზანია თავი დავაღწიოთ ჩამორჩენას და მოწინავეთა შორის დავიმკვიდროთ ადგილი. მით უმეტეს, რომ გაერთიანების და, განსაკუთრებით, მისი მეთაური საწარმოს კოლექტივის შესანიშნავ შრომითს ტრადიციებზე არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ბევრს ლაპარაკობდნენ და წერდნენ პრესაშიც. ამჟამად გაერთიანებამ მიიღო ნედლეული, რომელიც საშეალებას მოგვცემს შეუფერხებლად ვიმუშაოთ და ეუმატოთ ტემპს. მართალია, იმ ორი მილიონი წყვილი წინდის დანაკლისს, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, ვერ ავანაზღაურებთ. მაგრამ, სამაგიეროდ შევქმნით მტკიცე მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას მომავალ წელს, გაძართული მუშაობისათვის, ნედლეულის მოწოდებასთან დაკავშირებული შეფერხებები მომავალშიც შეიძლება განმეორდეს ,ამისაგან დაზღვეული არა ვართ. სწორედ ამას ვითვალისწინებდით უპირველესად, როცა ჩამორჩენის დასაძლევად საოთხა განაზღაურდა და ტექნიკური ხასიათის ღონისძიებებს ვსახავდით: ძირითადი ნედლეულის მოწოდებლობის შემთხვევაში სხვა სახეობის პროდუქციას გამოვუშვებთ და ამით თავიდან ავიცილებთ გეგმების ჩაშლისა და დანაგვიანების მოცდენების შემთხვევებს, ყველაფერს ვიღონებთ, რათა საწარმოო სიმძლავრეები მთლიანად იყოს დატვირთული. ახლახან, როგორც იქნა, ელექტროსეული შესაცვლელად კაბელიც მივიღეთ. თუ თელასი დაგვეხმარება და დროულად განაახლებს ქსელს, დანადგართა მოცდენა საერთოდ გამოირიცხება. დასახული გვაქვს განვახორციელოთ ღონისძიებები, რომლებიც დაგვეხმარება ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფაში, ნედლეულისა და მასალების ეკონომიურ ხარჯვაში, შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, ნაწარმის წუნის ლიკვიდაციაში, პროდუქციის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებაში. ერთი სიტყვით, შევიმუშავეთ გაერთიანების ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკმაოდ ვრცელი და რეალური პროგრამა. მისი ყველა პუნქტის შესრულებას მკაცრ კონტროლს დავუწესებთ. მეთერთმეტე ხუთწლედი გაერთიანების მუშაობის დიდი გარდატეხის პერიოდი უნდა გახდეს.

3. მესამე შეკითხვა ძალიან პირდაპირი და პრინციპულია. ამტომაც მასზე მოკრძალებულ პასუხს ვერ გავცემ: ნაკლოვანებათა გამოსწორების უნარი შემწევს, კოლექტივი, რომელსაც მე ჩავდგები სათავეში, დარაზმულია სირთულეთა დასაძლევად, ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ მიზანს, თავდადებით ვიბრძოლთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

რედაქციისაგან:

წინდის საწარმოო გაერთიანება 1976 წელს შეიქმნა. ჩამოყალიბდა იგი თბილისის იმ წინდის ფაბრიკის ბაზაზე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში „კრწანისის“ სახელწოდებით იყო ცნობილი და რომელიც ამჟამად გაერთიანების მეთაური საწარმოა. მეათე ხუთწლედში დაიწყო და ძირითადად (80 პროცენტით) დამთავრდა კიდეც გაერთიანების ახალი ტექნიკით აღჭურვა. მარტო მეთაურ საწარმოში 380 ერთეული დიდმწარმოებლური მანქანა დაიდგა. ფიზიკურად და მორალურად მოძველებული დანადგარები ჩამოიწერა.

როცა წარმოებას ანახლებდნენ, ბუნებრივია, ისახავდნენ ერთ მთავარ მიზანს: უნდა გამოეშვათ მეტი და გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქცია. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. პირველ შემთხვევაში გაერთიანების ხელმძღვანელობა ჩამორჩენას ნედლეულს უქონლობას აბრალებს, მაგრამ წინდის ცუდი ხარისხი რას დავაბრალოთ? სახელმწიფო ხარისხის ნიშნით აღნიშნულ პროდუქციას წარმოების საერთო მოცულობაში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია, თუმცა ამით საქმის რეალური ვითარება როდი გამოიხატება. ოფიციალურად წელს აქ ქალაქების — კალინინის, როსტოვის, კოსტრომის, თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და სხვა სავაჭრო ბაზებიდან 80 რეკლამაცია მიიღეს, რისთვისაც 13 ათასი მანეთი ჯარიმა გადაიხადეს. დიახ, მხოლოდ ბაზებს და ყველა ცალკეულ მომხმარებელს რომ შეეძლოს გაერთიანებისათვის პრეტენზიის წაყენება, ეს რიცხვი წარმოუდგენლად გაზრდებოდა. მიზეზი ერთია: ირღვევა ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიური პროცესები, ეს კი შრომის დისციპლინის სისტემატურ დარღვევებთან არის დაკავშირებული.

გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა უ. ქართველიშვილმა სთხოვა ჩვენს კორესპონდენტს: ახალი დანიშნული ვარ, საქმეს აუცილებლად გამოვასწორებ და ამის შესახებ პრესაში მახალას ნუ გამოაქვეყნებთო. იგი მართლაც ტოვებს ენერგიული მუშაკის შთაბეჭდილებას და ჩვენც არ გვინდა შეგვეპაროს ეჭვი მის გულწრფელობაში. ეს სიმართლეა, მაგრამ სწორია ისიც, რომ გაერთიანების საკითხი მარტო უ. ქართველიშვილს არ ეხება. ჩვენ გვინდა მსუბუქი მრეწველობის იმ ხელმძღვანელების ყურადღება მივიქციოთ, რომელთა კომპეტენციაშიც შედის ეს საწარმო, ყურადღება მივიქციოთ იმიტომ, რომ ყოველნაირი დახმარება გაუწიოს მას შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებაში.

ამ საკითხით უნდა დაინტერესდეს პარტიის თბილისის კიროვის რაიკომი, რომლის ტერიტორიაზეც განლაგებულია გაერთიანება.

სტუდენტი

სტუდენტი — მომავალი სპეციალისტი, სტუდენტი — ღირსეული მოქალაქე, სტუდენტი — მებრძოლი ენთუზიასტი — აი ცნებები, ჩვენი სტუდენტობის, საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი ავანგარდული რაზმის ცხოვრების საზომად რომ ქცეულა.

ვიმსახუროთ კომუნიზმის დიად იდეალებს! აღვზარდოთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ჭეშმარიტი მოქალაქე, აქტიური პოლიტიკური მებრძოლი! ვიმარჯვებდით გუშინ, ვიმარჯვებთ დღეს, გავიმარჯვებთ მომავალში! — ამ დევიზით მუშაობენ სტუდენტთა დიდი ფორუმი, რომელიც გუშინ გაიმართა. სტუდენტთა თავყრილობა მოეწყო იმ ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მთელი ჩვენი ხალხი, ჩვენი ახალგაზრდობა პრაქტიკულად ახორციელებს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

ამაო როდია მილიონთა გულისძახილი: „მეთერთმეტე ხუთწლედს — ახალგაზრდობის დამკვრელური შრომა, ცოდნა, ინიციატივა და ენერგეტიკული ენერგია!“. რა ჩამოვთვალოთ იმ ღირსეულ საქმეებს, შემართებასა და თავდადებას, საქართველოს ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა სამშობლოს უკვე რომ უპატაკეს.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობასთან ერთად დიდი აღფრთოვანებით, დიდი გულისყურით და ინტერესით შეხვდნენ რესპუბლიკის სტუდენტები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის „მოგონებებს“, ისევე როგორც „მცირე მიწას“, „აღორძინებასა“ და „უკვირს“. ამ შესანიშნავ წიგნებში ყოველმხრივ არის გაშუქებული ჭეშმარიტად ხალხურობის, კომუნისტების მუშაობაში ლენინური პარტიულობის, სამშობლოსადმი, პარტიისადმი ერთგულების, შემოქმედებითი შრომის, ხალხისადმი სიყვარულის, მშვიდობისათვის ბრძოლის, მოზარდი თაობის მოქალაქეობრივი თვითშეგნების თემა.

საქართველოში სტუდენტ ახალგაზრდობასთან მეტად საინტერესო მუშაობაა გაშლილი. ახლანდელი აქტივის კრებაც სწორედ იმიტომ მოეწყო, რომ კიდევ უფრო ნათლად ჩამოყალიბდეს, გამოიკვეთოს რესპუბლიკის კომკავშირის კომიტეტების, უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პოზიცია სტუდენტ ახალგაზრდობასთან მუშაობის საქმეში.

„ჩვენი ახალგაზრდობა, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ, — უნდა ფიქრობდეს კაცობრიობის მომავლის პრობლემებზე, დიდი პოზიციებიდან იხილავდეს თავის ყოველდღიურ ამოცანებს, ძალიან დიდი პოზიციებიდან, დიდი სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან, საკაცობრიო იდეალებიდან გამომდინარე. ჩვენ ასეთ ითხოვნებს ვუყენებთ სტუდენტობას. ჩვენ გვინდა, რომ ეს სულსახეობა სუფევდეს თქვენთან ფაკულტეტებზე, კურსებზე, ჯგუფებში“.

მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების ატმოსფერო, მორალური ხასიათის სასიკეთო ძვრები — აი მომავალი სპეციალისტების მომზადების მყარზე მყარი საფუძველი, კეთილსმყოფელი ალეკსანდრ რომ. ახლანდელ სტუდენტობაზე, მის ზნეობაზე, რწმენასა და ადამიანურობაზე, ცხოვრებისეული ღირებულებებისადმი მის დამოკიდებულებაზე. წლითიწლობით ძლიერდება სტუდენტთა შრომითი აქტიურობა, მათი ავადმყოფური წარმატებების მაჩვენებელი.

90 ათასი სტუდენტი ქალიშვილი და ჭაბუკი, — 90 ათასი ხასიათი, ფიქრი და ოცნება. 90 ათასი მომავალი სპეციალისტი. ისინი რესპუბლიკის 19 უმაღლეს სასწავლებელში ეუფლებიან მეცნიერებათა საფუძვლებს.

სტუდენტებისაგან რომ მოვითხოვთ კარგად სწავლას, პატიოსნებისმგებლობისა და დისციპლინის განმტკიცებას, უნდა ვაჩუქოთ მათთვის ნორმალური საყოფაცხოვრებო, სასწავლო და სამუშაო პირობების შექმნისათვის. რა დასამალია, ბევრ უმაღლეს სასწავლებელში ამ მხრივ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე როდია. — აკლიათ სახელმძღვანელოები, მოწყობილია კაბინეტ-ლაბორატორიები და სხვა. ყოველივე ეს ცუდ გავლენას ახდენს საერთო მაჩვენებელზე. ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში მოწინავეებთან ერთად ჩამორჩენილებიც არიან. მართალია, 171 სტუდენტი ლენინური და სხვა სახელობითი სტიპენდიატია, ბოლო ორი წლის განმავლობაში ყოველწლიურად 60-ზე მეტი ჯგუფი აღწევს 100-პროცენტიან აკადემიურ წარმატებას, მაგრამ რესპუბლიკის სტუდენტთა საერთო მაჩვენებელი ჯერ კიდევ ჩამორჩება საკავშირო მაჩვენებელს.

1980-1981 სასწავლო წელს სტუდენტებმა უმიზეზოდ გააცდინეს 328 ათასი საათი, გაირიცხა 800 სტუდენტი და კურსზე დარჩა — 225. გასულ წლებთან შედარებით არის სახისეთო ძვრები, მაგრამ მეტად უმნიშვნელო.

საჭიროა სტუდენტების ნიჭისა და ინტელექტის პატივისცემა, საჭიროა გამოცდილი კომკავშირული ლიდერი, ხელმძღვანელი სოციოლოგი, ფსიქოლოგი, ლექტორი თუ პედაგოგი დახვეწილი ხელოვნებითა და დიდი პოლიტიკური რწმენით მიუძღოდეს სტუდენტობას.

კვლავ ნაკლები ყურადღება ეთმობა სტუდენტთა სოციალური შემადგენლობის განმტკიცებას. ახალგაზრდების განაწილებას, ადგილზე მათს გამოცდადებას.

ეარმოებაში კვლავ ცოტა სტუდენტური ნაშრომი ინერგება. ყველაზე მეტ ზრუნავენ სტუდენტთა სამეცნიერო წრეების ნორმალურად მუშაობისათვის. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლის ხარისხს, ვინაიდან ეს მეცნიერებანი ახალგაზრდობის პიროვნების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ფაქტორ იარაღს წარმოადგენს.

სამწუხაროდ, სტუდენტთა ერთ ნაწილს ჯერ კიდევ ახასიათებს მოქალაქეობრივი უმწიფარობა, პოლიტიკურად მოუმზადებლობა, ზეგულისხმენი წარმოდგენა აქვს თავის უფლებებსა და მოვალეობებზე. ამიტომ, გაწეული ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ მრავალი სტუდენტი გვხვდება დამნაშავის როლში, ანდა ბევრი მათგანი სტუდენტისათვის ყოველად შეუფერებელ სიტუაციაში ვარდება. კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ყველა სტუდენტი ჩაბმული უნდა იყოს საზოგადოებრივ საქმიანობაში, ჰქონდეს მუდმივი კომკავშირული დავალება.

მასახალმეტელი და მისაბაძია დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების 100 კურსდამთავრებულის მაგალითი, რომლებიც რესპუბლიკის მაღალმთიან, აქტიური მიგრაციის რაიონებში, სოფლებში ნაყოფიერად წავიდნენ და ახალგაზრდული გზნებით, ახლებური სიცოცხლე, სიბალიხე დაუბრუნეს განადგურებულ სოფლებს. უნდა ბევრმა ახალგაზრდამ მიიჩნიოს ეს თავის ღვიძლ, სისხლხორცეულ საქმედ, რომ კიდევ ბევრგან აინოოს მინავლებული კერა, ძალუმად იფეთქოს სიცოცხლის ძარღვმა.

ამ დღეებში რომ ვიზეიმეთ ქვეყნის გულთან — მოსკოვთან გერანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების მე-40 წლისთავი, იმ გმირული ეპოპეის მონაწილეთა უმრავლესობა, ვინც გამარჯვებას სწევდა, ჩვენი ახლანდელი სტუდენტობის ასაკისა იყო. იმათი პირდაპირი შთამომავალნი არიან ისინი, მაღალი იდეურ-პოლიტიკური რწმენამით შეიარაღებულნი მოწოდების სიმაღლეზე რომ დგანან.

წლეულს საქართველოდან 16 ათასი სტუდენტი მონაწილეობდა „მეორე შრომითს სემესტრში“. მათ 24 მილიონი მანეთის სამუშაო შეასრულეს. მათი შრომის შედეგები მხოლოდ კილომეტრობით, ტონაჟით, მანეთობით როდი გამოიხატება. რაც მთავარია, „მესამე სემესტრში“ მონაწილეობა ახალგაზრდობას შრომისმოყვარეობას, დაოუკიდებლობას, ინტერნაციონალიზმის, მეგობრობის გრძნობას, დაეხმარებული საქმისათვის პასუხისმგებლობას უნერგავს.

ჩვენი რესპუბლიკის სტუდენტობა მუდამ ცხოვრების შუაგულშია. ასი ნიადიდან ქვეყანა ყოველწლიურად 1500 სპეციალისტს იღებს. კვლავაც სახახელო გზებით გეგლოს, ჩვენო მომავალო!

მტკიცე მშვიდობისა და კეთილმეზობლობის ინტერესებისათვის

გამოვიდა ბროშურა „მტკიცე მშვიდობისა და კეთილმეზობლობის ინტერესებისათვის. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში“.

კრებულში შეტანილია სიტყვები, დოკუმენტები და მასალები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1981 წლის 22-25 ნოემბერში ვიზიტის შესახებ.

ბროშურა გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ (საქდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ

როგორ მოემზადნენ ფერმები ზამთრისათვის

საქართველოში დამთავრდა პირუტყვის ზამთრობისათვის მეცხოველეობის ობიექტების მზადყოფნის დათვალიერება, ამ დათვალიერების შედეგების განხილვას და პირუტყვის ორგანიზებულ გამოზამთრებასა და მეცხოველეობის პროდუქტების ზრდაში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების შემდგომ ამოცანებს მიეძღვნა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარეგიონო კომისიის წევრები, რომლებიც მიმაგრებული იყვნენ დათვალიერების რაიონებზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები, მთელი რიგი რაიონების პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ხელმძღვანელები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

შეკრებილთ აჩვენეს დოკუმენტური ფილმი ზამთრისათვის ფერმების მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. პატიაშვილმა.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი შ. ეცადაშვილი, „საქსახოფლტექნიკის“ თავმჯდომარე დ. სარიშვილი, სასოფლო მშენებლობის მინისტრი ი. ხარატიშვილი და სხვები.

რესპუბლიკის ფერმების მშრომელები, აღინიშნა თათბირზე, რომლებიც ხორცს ასხამენ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, დაძაბულ ბრძოლას ეწევიან, რათა გაზაფხულ პირუტყვის პროდუქტიულობა, შეინარჩუნონ ნამატი, გაადიდონ სულადობა. წელს რესპუბლიკის მეცხოველეებმა გარკვეული წარმატებანი, მოიპოვეს. მაგალითად, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად იმატა ღორისა და ცხვრის სულადობამ, ვადამდე შესრულდა სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკისა და მატყლის მიყიდვის გეგმები, გაანაღდებულია უხეში საკვების დამზადების დავალებები, მოღონიერდა ფერმების ეკონომიკა, ბევრი მთგანი აღიჭურვა თანამედროვე მექანიზმებით, დაინერგა პროგრესული ტექნოლოგია, ამაღლდა მეცხოველეთა მუშაობის კულტურა, დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობა.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა, რომლებიც ისწრაფვიან თავიანთი წვლილი შეიტანონ სასურსათო პროგრამის განხორციელებას, ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება პირუტყვის სანმეშოდ გამოზამთრებისათვის, დროულად მოიყვანეს წესრიგში ფერმები, მოიმარაგეს საკმარისი რაოდენობის საკვები, კერძოდ, გარდაბნის, აბაშის, სამტრედიის, ბოგდანოვკის რაიონების, ქალაქ გაგრის ზონის მეურნეობებმა. ამავე დროს, ჯერჯერობით ყურადღება არ დაუთმეს ამ უმნიშვნელოვანესი კამპანიის მოწყობას თიანეთის, წალკის, გალის, გეგეჭკორის და სხვა რაიონების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზოგიერთი მეურნეობის ფერმებმა. აქ არ უზრუნიათ მეცხოველეობის სადგომების შეკეთების, დათბენების, გაწმენდის, შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის, მომსახურე პერსონალის შრომისა და ყოფა-ცხოვრების სწორი ორგანიზაციისათვის.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პირუტყვის ზამთრობის წარმატებული ორგანიზაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცე საკვებ ბაზას, საკვების რაციონალურ გამოყენებას. პირუტყვის სუქების გაუმჯობესებაში დიდი როლი ეკუთვნით საკვების საამქროებს. მაგრამ 410 საკვები საამქროსაგან ოცდაათზე მეტი მოუუზადებელი ხვდება ზამთრობას.

სამრეწველო საწარმოების, სამინისტროებისა და უწყებების ვალია ღირსეული წვლილი შეიტანონ მეცხოველეობის პროდუქციის გადიდების საქმეს, ვადაზე და მაღალხარისხოვნად შეასრულონ სოფლის შეკვეთები, ფერმებისა და კომბინატებისათვის მოწყობილობისა და მასალის მიწოდების გეგმები. მათი ჩაშლა ხომ უარყოფითს გავლენას მოახდენს უმნიშვნელოვანესი სასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდაზე. არადა, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმზე აღინიშნა, სასურსათო პრობლემა როგორც სამეურნეო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით მთელი ხუთწლედის ცენტრალური პრობლემაა.

მეცხოველეობის განვითარების თანამედროვე დონე მოითხოვს კარგად მომზადებულ კადრებს, საქმის მცოდნე სპეციალისტებს. ზოოტექნიკოსები, ვეტერინარი ექიმები, ინჟინრები — ყველანი მოწოდებული არიან მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული რეზერვები, აამაღლონ ფერმებში მუშაობის ეფექტიანობა, იღვაწონ დარგის შემდგომი ინტენსიფიკაციისთვის.

ამავე დროს, როცა ფერმებს ზამთრისათვის ვამზადებთ, უწინარეს ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ მეცხოველეობის მშრომელებზე— მათი მუშაობისა და ყოფა-ცხოვრების პირობებზე, საუკეთესო შედეგების მიღებით მორალურ და მატერიალურ დაინტერესებაზე, პროფესიულ დოსტატებზე.

გადავაქციოთ საქართველო მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად — ამჟამად არა აქვთ ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს. ეს კიდევ ერთხელ მთელი სიმწვავითა და პრინციპულობით ითქვა თათბირზე. დასახული ამოცანის შესასრულებლად საჭიროა უწინარეს ყოვლისა უზრუნველყოთ ფერმები საკუთარი წარმოების საკვებით, მივაღწიოთ ყოველი ჰექტარი მიწის მაქსიმალურ უკეგებას, გაგზარდოთ სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობა. ამასთან ყურადღება არ უნდა მოვაკლოთ თესლბრუნვის მეცნიერულ საფუძველზე დაწერგვას, სასუქის გონივრულ გამოყენებას, მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესების სამუშაოთა მასშტაბის გაფართოებას.

ბაგური კვების პერიოდის ორგანიზებული მოწყობა მეძოვეობის, სახორცე მიმართულების, მეცხვარეობის ფერმებში მშრომელთა თავდადებულ მუშაობას მოითხოვს. ამ პერიოდში მკაცრად შემოწმდება ხელმძღვანელთა ორგანიზატორული ნიჭი, სპეციალისტთა ტექნოლოგიური ცოდნა, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელების უნარი წარმართონ ადამიანთა საქმიანობა სოფლის მეურნეობის დამკვიდრულ ფორუტზე. ახლა მთავარია გავზარდოთ პირუტყვის სულადობა, გავაუმჯობესოთ ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობა, მისი რეპროდუქცია ჩასაყენებელი მოზარდეულის გამოზრდის გზით.

თათბირმა სოფლის, ხილბოსტნეულის მეურნეობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროებს „საქსახოფლტექნიკას“, სხვა სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს მოსთხოვა მოკლე ვადაში აღმოფხვრან დათვალიერების დროს გამოვლენილი ნაკლოვანებანი.

თათბირის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

ᲛᲝᲡᲐᲮᲣᲠᲘ: **ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘᲪ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲪ**

„ᲘᲣᲐᲜ საბჭოეთის ღირსეული მოქალაქე!“

— ასეთია სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა კოლექტივების გადაძახილის დევიზი. მას დასაბამი მიეცა 9 დეკემბერს თბილისში გამართულ საქართველოს სტუდენტთა აქტივის კრებაზე. მისმა მონაწილეებმა, რომელთა შორის იყვნენ მოსკოვისა და ლენინგრადის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა დელეგაციები, მიიღეს მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა სტუდენტისადმი.

მიმართვაში ჩამოყალიბებული აზრით იყო განმსჭვალული თავიდან ბოლომდე სტუდენტთა აქტივის რესპუბლიკური კრების მთელი მუშაობაც. საქართველოს სტუდენტთა 90-ათასიანი რაზმის წარმომადგენლებმა განიხილეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, ღირსეული ნოქალაქეების, აქტიური პოლიტიკური მებრძოლების აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

კრების კარგი პროლოგი იყო უკვე ტრადიციად ქცეული შეხვედრები სამინისტროებსა და უწყებებში, სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებსა და შემოქმედებითს კავშირებში, შრომითს კოლექტივებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. სტუდენტები უფრო ახლოს გაეცნენ არჩეულ დარგში მუშაობის სპეციფიკას, ურთიერთდახმარების ხელშეკრულების შესაბამისად.

მოლაპარაკებაში ცენტრალური ადგილი დაიკავა სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების საკითხებმა. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის ჯ. კადარის შეხვედრებისა და საუბრების დიდი და განმსაზღვრელი მნიშვნელობა ორივე ქვეყნის თანამშრომლობის საკვანძო საკითხების გადაწყვეტისათვის, აქტუალური საერთაშორისო პრობლემების გამო მათი პოზიციების შესათანხმებლად.

განახილეს აგრეთვე ზოგიერთი საერთაშორისო პრობლემა, რომლებიც ეხება ევროპასა და მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელების შენარჩუნებასა და გაღრმავებას, გამალებული შეიარაღების შეწყვეტას და განიარაღებაზე გადასვლას, თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

ᲛᲝᲡᲐᲮᲣᲠᲘ: **ᲛᲔᲪᲜ

გულითად ვითარებაში

ბუდაპეშტი, 7 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უნგრეთის მთავრობის სახელით დღეს პარლამენტის შენობაში სადილი გაუმართეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დ. ლაზარმა და ნ. ა. ტიხონოვმა მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და მთელი უნგრელი ხალხის სახელით დ. ლაზარი მიესალმა ნ. ა. ტიხონოვს. თქვენი ვიზიტი, თქვა მან, დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, როშელიც შესაძლებლობას გვაძლევს ავლავ ხაზი გავუსვათ იმას, თუ რა გულითადია ძმური კავშირი, რომელიც ახასიათებს ჩვენი ხალხებისა და ქვეყნების, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამ პირადად ამხანაგების ი. კადარისა და ლ. ი. ბრეჟნევის ურთიერთობას. თქვენი ვიზიტი მიგვაჩნია სოციალიზმის მშენებელი უნგრელი ხალხისადმი პატივისცემის სასიხარულო გამოვლინებად. დარწმუნებული ვართ, რომ ეს ვიზიტი იქნება მნიშვნელოვანი წვლილი ჩვენი ხალხების შემადუღებელი ძმური კავშირის განმტკიცების საქმეში, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის მრავალმხრივ განვითარებას, აამაღლებს პროგრესისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ჩვენი საერთო ბრძოლის ეფექტიანობას.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მეგობრულ ურთიერთობასა და კავშირს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან, და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან. როცა უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ, დიდი კმაყოფილებით შვიძლია ვთქვა, რომ იგი უღრუბლოა და მტკიცე საფუძველი აქვს. ჩვენ გვაკავშირებს საერთო რევოლუციური ტრადიციები, საერთო იდეები, საერთო მიზნები და ინტერესები.

ჩვენი ურთიერთობის მუდმივ განვითარებაში ფუძემდებელი მნიშვნელობა აქვს ერთიანობას პრინციპულ საფუძველზე უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის ყველა საკითხში. ურთიერთნდობის სულისკვეთებით არის განმსჭვალული ჩვენი მრავალმხრივი თანამშრომლობა. ამაში თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ამხანაგების იანოშ კადარისა და ჩვენი ხალხის გულწრფელი მეგობრის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის პირად შეხვედრებს. ეს შეხვედრები მუდამ ახალ იმპულსს აძლევს იმას, რომ კიდევ უფრო მეტი გავაკეთოთ ჩვენი მეგობრობისა და თანამშრომლობის გაღრმავებისათვის. რაც შეეხება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას, უაღრესად დიდად ვართ დაინტერესებული, რომ განვახორციელოთ წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარების გრძელვადიანი პროგრამა, რამაც განსაზღვრა 1990 წლამდე ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებანი. და კიდევ უფრო გავაღრმაოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის თანამშრომლობა, დავამყაროთ უფრო უშუალო კავშირი სამრეწველო საწარმოებსა და გაერთიანებებს შორის, შევქმნათ ერთობლივი ფირმები ურთიერთმოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და მესამე ქვეყნების ბაზრებზე ერთობლივი გამოსვლებისათვის.

მოხარული ვარ, რომ მოიწოლეთ და მხარი დაუჭირეთ ჩვენს ინიციატივებს, რომელთა მიზანია თანამშრომლობის განვითარება. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ქვეყნების ეკონომიკური კავშირურთიერთობის შემდგომი გაფართოება ამავე დროს იქნება წვლილი სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებაში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, და ამასთანავე ხელს შეუწყობს სოციალისტური თანამეგობრობის ეკონომიკური ძლიერების ზრდას, ჩვენი საერთო ამოცანების გადაწყვეტას.

მსოფლიოს პროგრესულ და მშვიდობისმოყვარე ძალებს, თქვა შემდეგ დ. ლაზარმა, შეგნებული აქვთ, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს დიადი საბჭოთა კავშირის თანამიმდევრული საგარეო პოლიტიკა და მთელ მსოფლიოში პატივცემული მშვიდობისათვის მებრძოლის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პირადი მეცადინეობა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. ამიტომ სავსებით გასაგებია ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელთაც საერთაშორისო საზოგადოებრიობა ადევნებდა თვალს ლ. ი. ბრეჟნევის ამასწინანდელ ვიზიტს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ჩვენი პარტიისა და მთავრობის აზრით, ამ ვიზიტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მან ხელი შეუწყო სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განმტკიცებას, ევროპის მშვიდობისა და უშიშროების საქმეს. ჩვენი მხრივ, მივესალმებით და მხარს ვუჭერთ საბჭოთა კავშირის ახალ კონსტრუქციულ წინადადებებს ბირთვული იარაღის საკითხებზე.

საბჭოთა კავშირმა კვლავ დაადასტურა თავისი ნება მშვიდობისადმი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ახლა, როცა იმპერიალიზმის ომისმოტრფიალე წრეები, ზრდიან რა გამალებულ შეიარაღებას, ცდილობენ წონასწორობის დარღვევას და აცხადებენ, შესაძლებელიაო ბირთვული ომი. საფრთხეს უქმნიან ყველაფერს, რაც მიღწეული იყო დაძაბულობის შენელების წლებში ურთიერთთანასწორობისა და ურთიერთძნტერესებზე დაფუძნებული სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვითარებაში.

ვახორციელებთ რა საგარეო პოლიტიკას ჩვენი ხალხის ინტერესებისათვის, ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს სკკპ XXVI ყრილობაზე მიღებულ 80-იანი წლების სამშვიდობო პროგრამას. მივესალმებით საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დიალოგის განახლებას, მხარს ვუჭერთ შეიარაღების უფრო დაბალ დონეზე სახელმწიფოთა თანაბარი უშიშროების განხორციელებას. მზად ვართ ვითანამშრომლოთ მშვიდობისა და პროგრესის ყველა გულწრფელ მომხრესთან.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა როგორც წარსულში, ისე მომავალში პირნათლად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს ჩვენს თავდაცვითს კავშირში—ვარშავის ხელშეკრულებაში, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მშვიდობის შენარჩუნებაში. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა ყოველ ღონეს იხმარს ჩვენი სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობის განმტკიცებისათვის, მისი ძალისა და ავტორიტეტის გაზრდისათვის.

ვსაუბრებლობ შემთხვევით, თქვა საპასუხო გამოსვლაში ნ. ა. ტიხონოვმა და თქვენ, მთელ უნგრელ ხალხს გულითადად მივესალმები და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელით.

ლეონიდ ილიას ძე დღენიადაგ დიდ ყურადღებას უთმობს სოციალისტურ ქვეყნებთან ძმური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას, ღრმად და ყოველმხრივ იხილავს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობის საკითხებს.

ჩვენი ქვეყნების ტრადიციადქცეულ რეგულარულ შეხვედრებს განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა და უნგრელი ხალხების მეგობრობისა და ძმობის შემდგომი განმტკიცებისათვის, ორმხრივი ურთიერთობის საკვანძო საკითხების გადაწყვეტისათვის, მშვიდობის საკეთილდღეოდ აქტიური, შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ეს შეხვედრები ფართო პერსპექტივებს სახავენ ჩვენი სახელმწიფოების ყოველმხრივი თანამშრომლობისათვის. ისინი მკაფიო ორიენტირია მოლაპარაკებისათვის, რომელიც დღეს დავიწყეთ.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობას უკვე დიდი ხანია აქვს მრავალმხრივი, ღრმა და ნაყოფიერი ხასიათი.

რა დარგიც უნდა ავიღოთ, ყველგან ვხედავთ შთამბეჭდავ შედეგებს. ჩვენი მჭიდრო ურთიერთმოქმედება გვეხმარება უფრო მტკიცედ ვიაროთ წინ სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის გზით.

უნგრელმა კომუნისტებმა თავიანთ XII ყრილობაზე და ჩვენც, საბჭოთა კომუნისტებმა, ჩვენს XXVI ყრილობაზე ახალი მიჯნები დავსახეთ ჩვენი ქვეყნების ძლევამოსილი წინსვლის გზაზე. დიდი და რთულია ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია განვითარების ინტენსიურ გზაზე ჩვენი ეკონომიკების გადაყვანასთან, ყველა მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსის უფრო რაციონალურ გამოყენებასთან.

ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა უზრუნველყოფს ჩვენი ეკონომიკების მტკიცე ზრდასა და ეფექტიანობის ამაღლებას, მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, მათი სულიერი კულტურის შემდგომ აყვავებას.

მაგრამ, რა თქმა უნდა, საჭიროა ღონისძიებანი და ამასთან საკმაო ღონისძიებანიც, რათა დასახული გადახორციელდეს. სწორედ ეს დაუსახა მიზნად კომუნისტებსა და მთელ საბჭოთა ხალხს ნოემბერში გამართულმა არიან ომის თავიდან აცილებით, ცხადია, ახალ წარმატებებს მივაღწევთ ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენ გვწინდა, რომ 80-იანი წლები გახდეს დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავების ხანა, აღინიშნოს გამალებული შეიარაღებიდან განიარაღებისაკენ შემობრუნებით. ამას ისახავს მიზნად საბჭოთა სახელმწიფოს მთელი მოქმედება.

XXVI ყრილობაზე მიღებული 80-იანი წლების სამშვიდობო პროგრამის განხორციელებაში ახალი, დიდი პოლიტიკური აქცია გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. თქვენ იცით, ამხანაგებო, თუ რა ინიციატივები წამოაყენა საბჭოთა კავშირმა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეკვეცისა და რაკეტულ-ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით.

დასავლეთში ბევრს ლაპარაკობენ ეგრეთ წოდებულ „ნულოვან გადაწყვეტაზე“. მაგრამ „ნულოვანი გადაწყვეტა“, ყოველ შემთხვევაში ვამბობ-ნშ, საკმაოდ თავისებურად აქვთ წარმოდგენილი. საბჭოთა კავშირმა, თურმე, უნდა მოსპოს თავისი ბირთვული ფარი, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სხვა ქვეყნების მთელი ბირთვული პოტენციალი, რომელიც ახლა ევროპაშია განლაგებული, ხელუხლებელი უნდა დარჩეს.

საბჭოთა კავშირი მზად არის ნამდვილი „ნულოვანი გადაწყვეტისათვის“, ანუ ომისათვის, რომ ევროპიდან გატანილ იქნეს ყველა სახეობის ბირთვული შეიარაღება, როგორც საშუალო სიშორისა, ისე ტაქტიკურიც. ჩვენ მომხრე ვართ უბირთვო ევროპისა, ამასთან მხარეთა თანაბარი უშიშროების პრინციპის მკაცრი დაცვისა. ასეთია ჩვენი მტკიცე და მკაფიო პოზიცია!

ილუზია იქნებოდა გვეფიქრა, რომ რთული საერთაშორისო პრობლემები თავისთავად გადაიჭრება. იმპერიალიზმის ძალებს კვლავ აქვთ იმედი, რომ მიაღწევენ ცალმხრივ უპირატესობას, მაგრამ საბჭოთა ხალხი არასოდეს არ უღალატებს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მოკავშირეებისა და მეგობრების უშიშროების ინტერესებს.

ახლა, როგორც იცით, ევროპაში დაიწყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება. ვნახოთ, როგორ წარიმართება იგი. ჩვენ გვეყოფა პოლიტიკური ნებისყოფაც და მზადყოფნაც მივაღწიოთ კონკრეტულ შედეგებს მშვიდობის საკეთილდღეოდ. ურყევია საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის ყველა ქვეყნის გადაწყვეტილება დაიცვან მშვიდობა, თავიდან აიცილონ ბირთვული ხანძარი!

დასასრულ ნ. ა. ტიხონოვმა ბედნიერება და აყვავება უსურვა სოციალისტურ უნგრეთს, ადღეგრძელა ძმაძე უნგრელი ხალხი და საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურღვევი მეგობრობა, მომშე უნგრეთის სტუმძღვანელობა და პირადად უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი და ამხანაგი დ. ლაზარი.

საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვაცნობინებენ

ბელგრადის ზურგზე

ფაქტები, მოვლენები

9 დეკემბერი

მდგომარეობა პოლონეთში

ვარშავა. აქ სხდომები გამართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, აგრეთვე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, გაერთიანებული გლეხთა პარტიისა და დემოკრატიული პარტიის თანამოქმედების კომისიამ. სხდომებზე შეფასდა პოლონეთში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, მისი გამწვავების შედეგები, გამოიტანეს სათანადო დასკვნები.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი თავიანთ ცნობებში აღნიშნავენ, რომ მდგომარეობა მკვეთრად მწვავდება ქვეყნის მეტ წილ რაიონებში. ასეთ განვითარებას კანონზომიერად უკავშირებენ უწინარეს ყოვლისა „სოლიდარობის“ პრეზიდიუმის ამასწინანდელ რადმის სხდომას, იქ წამოყენებულ მოთხოვნებს. „სოლიდარობის“ ლიდერები რადომში დაუფარავად აღაპარაკდნენ ულტიმატუმის ენით, მიწასთან გასასწორეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა, განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ შეებრძოლონ ხელისუფლების კანონიერ ორგანოებსა და მუშათა კლასის პარტიას. კონტრრევოლუციის მოთავეთა ნამდვილი განზრახვები ჭეშმარიტად დადასტურდა პოლონეთის რადიოსა და ტელევიზიის 7 და 8 დეკემბრის გადაცემებში, რომელთა დროს ტრანსლირებული იყო ფირზე ჩაწერილი ზოგიერთი გამოსვლა რადომში. მაგალითად, ლ. ვალენსამ აღიარა, რომ „სოლიდარობა“ არღვევს პოლონეთის ხელისუფლების სისტემას და განაცხადა, რომ საჭიროა აირჩიონ ისეთი გზა, რათა მოასწრონ „ელვისებური მანევრი“ (ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად). დასავლეთის დაქირავებული აგენტი ი. კურონი მოუწოდებდა: „უკვე დღესვე უნდა მოვიმზადოთ მიადაგი გახელისუფლებისათვის და დავადამბლოთ ახლანდელი ხელისუფლებაო“. ყოფილი სისხლის სამართლის დამნაშავე ე. რულევსკი სხდომის მონაწილეებს სთავაზობდა „ყველა საშუალებით შეუტიონ ხელისუფლებას სავოვეოდო დონეზე და საბოლოოდ გაუტეხონ მას სახელი არჩევნების წინ. „ჩვენ აქტიურად უნდა ვიყენებდეთ კოს-კორის ტაქტიკას“, , აცხადებდა ი. რულევსკი. პიროწავარდნილმა ანტისაბჭოელმა ზ. ბუკიაკმა წინადადება წამოაყენა დაუყოვნებლივ „ჩაიგდონ ხელში რადიო-კომიტეტი და დაამხონ მთავრობა, მოუსპონ მას ყოველგვარი ნდობა“.

„მთელი ეს მყვირალა განცხადებები „სოლიდარობის“ იმისათვის დასჭირდა, — წერს თავის კომენტარში გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“, — რომ ორგანიზაციაში ლეგალური გახადოს ოპოზიციური პოლიტიკური ძალების საქმიანობა, რასაც ესწრაფვის მისი ხელმძღვანელობა, მაგრამ არა გაერთიანების რიგითი წევრები. რადომში წამოყენებულ მოთხოვნებს საერთო არა აქვთ არა პროფკავშირულ საქმიანობასთან. ისინი აშკარად ანტიკონსტიტუციურ ხასიათს ატარებენ „სოლიდარობის“ ლიდერები დაუფარავად მოითხოვენ ახლოლეტურ ხელისუფლებას“.

„საზოგადოებრივი სიმშვიდისა და ხალხის უშიშროების გულისათვის, — აღნიშნავს არმიის გენერალი „ჟოლნეჟ ვოლნოსტი“, — საჭიროდ უნდა გაანაცხადოთ, კონტრრევოლუცია განწირულია. რევოლუცია, რომელიც პარტიამ განახორციელა პოლიტიკური მოკავშირეების დახმარებით 40-ზე მეტ წლებში, ჯერ კიდევ იმდენად ძლიერია, რომ თავად დაიცვა საკუთარ თავს. მას ამ საქმეში დაეხმარებიან მთელი ძალები, რომლებიც პოლიტიკური რეალიზმისა და ჩვენს სამხედრო-სოციალისტური წყობილების შინაარსშინების პოზიციებს ადგანან“.

● საფრანგეთი-ლაოსი

ადადგენენ დიპლომატიურ ურთიერთობას

პარიზი. საფრანგეთმა და ლაოსმა გადაწყვიტეს აღადგინონ დიპლომატიური ურთიერთობა, რომელიც გაწყვიტეს 1978 წლის აგვისტოში. ეს ნათქვამია საფრანგეთის საგარეო ურთიერთობის სამინისტროს აქ გავრცელებულ ცნობაში. მალე პარიზსა და ვიენტიანში მუშაობას განაახლებენ ორი ქვეყნის საელჩოები.

საფრანგეთსა და ლაოსს შორის ურთიერთობა შეწყდა მას შემდეგ, რაც ლაოსის მთავრობამ საფრანგეთს ბრალად დასდო „ლაოსის წინააღმდეგ ცილისმწამებელური პროპაგანდა და ლაოსის მთავრობის წინააღმდეგ იმ ძირგამომთხრელი საქმიანობის მხარდაჭერა, რომელსაც ეწეოდნენ როგორც საფრანგეთის ტერიტორიაზე, ისე ლაოსის შიგნით“.

● ირანი

ხომეინის მოთხოვნა

თეირანი. ირანის ისლამური რეხპუბლიკის ხელმძღვანელმა აიათოლა ხომეინიმ ქვეყნის უმაღლეს იურიდიულ საბჭოს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოითხოვს ბოლო მოეღოს უკანონო დაპატიმრებებსა და მოქალაქეთა ქონების კონფისკაციას. ხომეინიმ მოუწოდა დასჯონ ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც გამოუძიებლად და სათანადო დადგენილების მიუღებლად აპატიმრებენ მოქალაქეებს. წერილში ნათქვამია, რომ ამგვარი პრაქტიკა ხელყოფს მოქალაქეთა უფლებებს და ძირს უთხრის არსებულ კანონებს. ფარსის სააგენტო, რომელიც ეუწყება წერილის თაობაზე, აღნიშნავს, რომ ხომეინიმ ბრძანება გასცა დაუყოვნებლივ გამოიძიონ ირანის სასამართლო ორგანოების მიერ კანონიერების დარღვევის შემთხვევები.

---

10 დეკემბერი ადამიანის უფლებათა დღე

კანადელთა პროტესტი

ოტავა. ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა ასი ათასამდე კანადელმა მიიღო მონაწილეობა მასობრივ დემონსტრაციაში, რომელიც კანადის დედაქალაქში გაიმართა.

მათ მტკიცე პროტესტი გამოთქვეს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის გამო და მოითხოვეს დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებები შშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათი მოქალაქეობრივი უფლებების უზრუნველსაყოფად.

სურათზე: დემონსტრაციის დროს.

საკდესის ფოტო.

ფერილი ლუანდიდან

ბრძოლისა და გამარჯვების 25 წელი

მპლა-შრომის პარტიის გარშემო ანგოლელი ხალხის დარაზმულობისა და ერთიანობის, განვითარების სოციალისტური ორიენტაციისადმი ერთგულების, საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან სოლიდარობის ლოზუნგებით, სვაპოსა და აფრიკის ეროვნული კონგრესის პატრიოტთა შეუპოვარი ბრძოლით აღნიშნავს 10 დეკემბერს ანგოლის სახალხო რესპუბლიკა ანგოლის განთავისუფლებისათვის საბჭოთა მოძრაობის (მპლა) დაარსების 25-ე და მპლა-შრომის პარტიის შექმნის მეოთხე წლისთავს.

მპლასთან — ანგოლელი ხალხის ნაკად რევოლუციურ ავანგარდთან, რომელიც ოთხი წლის წინათ მპლა-შრომის პარტიად გარდაიქმნა, დაკავშირებულია ყველა გამარჯვება. მპლას დროშით 1961 წლის 4 თებერვალს ლუანდაში სან-პაულოს საპყრობილის შტურმით დაიწყო ანგოლელ პატრიოტთა შეიარაღებული ბრძოლა პორტუგალიის ხუთსაუკუნოვანი კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ. 1975 წლის 11 ნოემბერს იგი დამთავრდა ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებით და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის შექმნით.

მპლას ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის, კუბის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის აქტიური მხარდაჭერით ანგოლელმა ხალხმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, იმპერიალისტთა მიერ დაქირავებული და კონტრრევოლუციური ბანდების გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში და შეუდგა ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებას.

ამ საზეიმო დღეებში ანგოლის რესპუბლიკის ხალხი აჯამებს დამოუკიდებელი განვითარების წლებში მოპოვებულ მიღწევებს. ქვეყანაში სახელმწიფო კონტროლია დაწესებული ეკონომიკის საკვანძო სექტორებისადმი. ნაციონალიზებულია ბანკები, ლითონდამშუშავებელი, საფეიქრო და რეზინის მრეწველობის საწარმოები, მრავალი ცემენტისა და სატრანსპორტო საწარმო, თევზსაჭერი ფლოტი, შაქრისა და ყავის პლანტაციები. ეკონომიკის სახელმწიფო სექტორზე მოდის ლითონკონსტრუქციების, ფანერის, ველოსიპედების, მოპედების, ქსოვილებისა და შაქრის წარმოების 100 პროცენტი, ალმასის მოპოვების 77 პროცენტი.

კოლონიური ომისა და იმპერიალისტური ინტერვენციის მიერ მოშლილი ეკონომიკის აღდგენა-განვითარებისათვის ბრძოლა მთელი ანგოლელი ხალხის სისხლხორცეულ საქმედ იქცა. შეუშავდა და ხორციელდება „ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებები 1981-1985 წლებისათვის“. მათი მთავარი მიზანია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარება, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება, ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცება.

პარტიის მოწოდებისა და დედაქალაქის მშრომელთა ინიციატივის პასუხად მთელ რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა 10 დეკემბრისადმი — ანგოლის ისტორიაში ამ ღირსსახსოვარი თარიღისადმი მიძღვნილი მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება. ანგოლის მშრომელთა ეროვნული კავშირის მონაცემებით, მასში აქტიურად მონაწილეობს ასი ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე. მთელ ქვეყანაში იმართება მასობრივი შაბათობები და კვირაობები, ანუ, როგორც აქ უწოდებენ „ნებაყოფლობითი შრომის დღეები“.

ახალგაზრდა რესპუბლიკას, რომელმაც 11 ნოემბერს მეექვსე წლისთავი იზეიმა, თავისი პრობლემების გადაჭრა ისევ პირობებში უხდება, როცა იმპერიალიზმის მთავარი დამქაში სამხრეთ აფრიკაში — რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ანგოლის წინააღმდეგ წარიმართა აგრესიულ აქტებს მიმართავს. სამხრეთაფრიკელთა მხედრიონი აფრიკის შეერთებული შტატების აშკარა მხარდაჭერით ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ნამდვილ გამოუცხადებელ ომს ეწევა. 23 აგვისტოს პრეტორიის რეჟიმის შეიარაღებული შეჭრის შედეგად რასისტებმა დაიპყრეს სამხრეთ პროვინციის კუნენეს ნაწილი, რომელიც მთლიანად მოიშალა. ამ ომმა ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება.

მტერი განუწყვეტლივ არღვევს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცეს. მარტო მიმდინარე წლის იანვრიდან ოქტომბრამდე სამხრეთაფრიკელმა რასისტებმა 1.617-ჯერ დაარღვიეს რესპუბლიკის საჰაერო სივრცე, 150-ჯერ დაბომბეს და ცეცხლი დაუშინეს ანგოლის ტერიტორიას, 44-ჯერ გადასხეს პარაშუტისტთა დესანტი. ათასობით დასახლებული მშვიდობიანი მცხოვრები 160 ათასზე მეტი უსახლკაროდ დარჩენილა, ნაბომბით გადაბუგული მთელი სოფლები, დანგრეული ხიდები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტები, საცხოვრებელი ბინები, სკოლები, საავადმყოფოები — აი რას ატეხენ თავს ანგოლელ ხალხს სამხრეთაფრიკელი აგრესორები, რომლებიც ამერიკისა და სხვა იმპერიალისტური ქვეყნების ლოგისტიკურთხევითა და მხარდაჭერით მოქმედებენ.

საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები მეგობრულ დახმარებას უწევენ სახალხო ანგოლას. ანგოლაში მომუშავე 1.300 საბჭოთა სპეციალისტი ეხმარება ანგოლელ მეგობრებს კვალიფიციური ერთვნული კადრების მომზადებაში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, სატრანსპორტო და თევზსაჭერი ფლოტის შექმნაში, ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებაში.

ბორის ამა წინათ მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარემ, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ დოს სანტოშმა განაცხადა, მთ „შეუპოვარ დაუდებელი წვლილი ეროვნული რეკონსტრუქციის უზარმაზარ ნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში, ეროვნული კადრების მომზადებაში“.

მპლა-შრომის პარტიას, რომელის რიგებში დღეს 32 ათასი წევრი და კანდიდატია, მტკიცე ნაბიჯით მიჰყავს ანგოლელი ხალხი დემოკრატიისა და სოციალიზმის მშენებლობის გზით, იგი რაზმავს მასებს შემოქმედებით წარმართავს ეროვნული რეკონსტრუქციის ამოცანების გადაჭრ-ვეტისათვის, იმისათვის, რომ კადრისი პასუხი გასცენ სამხრეთ აფრიკელ რასისტთა აგრესიას. ანგოლელ ხალხი ანგოლის სახალხო და საგარეო რეაქციას.

ლაპარაკობენ შეკრების მონაწილენი

საქმის სიყვარულით

მინდოდა ბიოლოგი გავმხდარიყავი. მერე მისაღები გამოცდების მოლოდინი დღეები... ახლა კი მესამე კურსზე ვარ. პირველი წელია, რაც ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნად ამირჩიეს. ჩვენთან 400-მდე კომკავშირელია, აქედან სამი სახელობითი სტიპენდიატი გვყავს, ჩვენი პრინციპი მარტო ის კი არ არის, რომ ვიყოთ ფრიადოსნები, არამედ ყველა სტუდენტი აქტიურ მონაწილეობას იღებდეს საზოგადოებრივ მუშაობაში.

იმის მიხედვით, თუ რა სპეციალობას ეუფლებიან ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები, შექმნილია სამეცნიერო წრეები.

წლეულს ფაკულტეტზე არ ყოფილა არც ერთი ჩაჭორჩენილი. ეს დეკანატისა და კომკავშირული აქტივის ერთობლივი მუშაობის შედეგია.

ფაკულტეტი განიცდის სივიწროვეს. მოუთმენლად ველოდებით უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან მდებარე მშენებარე სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, უმაღლესი სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე გ. ჭელაშვილი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, . საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი ი. ბიწაძე, საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი წყალტომაში, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი, XXII ოლიმპიური ასპარეზობის პრიზიორი ლ. ცოტაძე, მესტიის რაიონის სოფელ ჩუბარის საშუალო სკოლის პედაგოგი ც. გერლიანი, პოეტ-აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი ი. აბაშიძე და სხვები.

როცა აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სპეციალისტის — მოქალაქის, მებრძოლის, მტკიცე იდეური მრწამსის პიროვნების მომზადებას, ორატორები შეეხნენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფის, მომავალ მეცნიერთა და ინჟინერთა, ექიმთა და აგრონომთა, მასწავლებელთა და წარმოების მეთაურთა ჩამოყალიბებაში კომკავშირის როლის გაძლიერების კონკრეტულ გზებს.

კრებაზე მომამზეადად გაისმა საქართველოს 16-ათასიანი სტუდენტთა სამშენებლო რაზმის პატაკი მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს მებრძოლთა საქმეებისა და მიღწევების, იმ მზადყოფნის შესახებ, რომ ამრავლონ მიღწეული წარმატებები 1982 წლის შრომითს სემესტრში, ყოველი ღონე იხმარონ, რათა იგი გაგდეს სტუდენტთა შრომითი და პოლიტიკური წრთობის ნამდვილი სკოლა.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც პარტიას აღუთქვა, რომ რესპუბლიკის სტუდენტები ახალგაზრდობა არ დაიშურებს ძალ-ღონესა და ენერგიას სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, ჩინეთელი სწავლით, დამკვრელური შრომითა და სამაგალითო დისციპლინით დაამტკიცებს ერთგულებას სამშობლოსადმი, პარტიისადმი, ხალხისადმი.

კრების მონაწილეებმა წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი მღერის სტუდენტთა ჰიმნს „გაუდეამუს იგიტურს“. გაისმის შეძახილები საბჭოთაის სახელოვანი სტუდენტების, ლენინური კომკავშირის პატივსაცემად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პატივსაცემად.

კრების მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების მხატვრული თვითმოქმედების ძალებით. (საქინფორმი).

გამარჯვებათა საწინდარი

ჩვენი უნივერსიტეტი სრულიად ახალგაზრდაა, ყოველ ცისმარე დღეს სიამაყითა და სიხარულით გადავაბიჯებთ ხოლმე მის ზღურბლს. როგორი წმინდა და ნათელია მისი კედლები. გვინდა, რომ ჩვენი კარგი სწავლით, შო

ნეტა, რიგი ეს ჩვენ

ეს ავტოავარია 1977 წლის 25 სექტემბერს ღამისთ მოხდა სოხუმ-ოჩამჩირის გზატკეცილზე სოფელ კინდღში. ერმანეთს დაეჯახა ორი ეიგული. ავარიის შედეგად ორი ადამიანი გარდაიცვალა და სამი დასახიჩრდა. დაილუპნენ ზუგდიდელები ოცდახუთი წლის ელმან მაკარის ძე ადონია და ოცდაექვსი წლის შოთა ორეულის ძე ბიგვავა.

უბედური შემთხვევის მოზეზ ბევრი ადამიანი იყო: დაზარალებულები — ეიგული 21011 ავტომანქანაში მსხდომნი, რომლებიც გადარჩნენ — ბორის ქარაია, ზოია ქარაია, ვენო გადელია, მეორე ავტომანქანის — ეიგული 21003-ის მეგზურები — ზოლტან ტროქსა, მისი მეუღლე ნუნუ ჯორჯიკია-ტროქსა, ნინი ჯორჯიკია, ბელონარა ქარჩავა, აგრეთვე კონსტანტინე მინჯია, თამაზ ალადინა, რომლებიც ამ მომენტში შემთხვევის ადგილზე იყვნენ. მიუხედავად ამდენი მოწმისა, ნათლად და დამაჯერებლად ვერ გაირკვა და ვერ დადგინდა ავარიის გარემოებები და ვერ გამოვლინდა დამნაშავენი. ოთხი წელიწადია ეს სიხსნლის სამართლის საქმე ექვსჯერ შეწყვეტეს წარმოებით და ექვსჯერვე აღადგინეს.

ოჩამჩირის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების საგამოძიებო ჯგუფგანყოფილების უფროსი გამომძიებელი ბ. ბობუა მივიდა შემთხვევის ადგილის დასათვალიერებლად, მაგრამ თითქმის არაფერი გაუკეთებია, რომ ოპერატიული ზომები მიეღო ყველა საგამოძიებო მოქმედების შესასრულებლად. ადგილის დათვალიერების ოქმი და სქემაც — ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებიც კი არ არის სრულყოფილად შედგენილი, მაგრამ ყველაზე საკვირველი ის არის, რომ ბ. ბობუას ავტოკატასტროფასთან დაკავშირებით არ აღუძრავს სისხლის სამართლის საქმე, თუმცა ავარიის შედეგად ოცი მოქალაქე დაიღუპა (მათ შორის მილიციის მუშაკიც) და სამი დასახიჩრდა. ასეთ შემთხვევაში ბ. ბობუას შეეძლო მასალები გამოსაძიებლად გადაეცა პროკურატურისთვის. გამომძიებელი იმით დაკმაყოფილდა, რომ რამდენიმე პირს ახსნა-განმარტება ჩამოართვა და ორ თვეზე მეტ ხანს მასალები სეიფში ჰქონდა ჩაკეტილი. დაზარალებულთა საჩივრების შემდეგ მას საქმე და მასალები აცილების წესით ჩამოართვეს და გალის რაიონის პროკურატურას გადასცეს. საბოლოოდ სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ 1977 წლის 6 დეკემბერს აღიძრა.

შემდეგ ბევრი იტრიალა ამ საქმემ — პროკურატურიდან პროკურატურაში, ერთი გამომძიებლიდან მეორე გამომძიებლის ხელში, სრულყოფილად და დამაჯერებლად კი ვერც ერთმა ვერ გამოიძია და ვერ გაარკვია ავარიის მიზეზი და გარემოება. ამიტომ წლეულს 12 თებერვლის დადგენილებით საქართველოს სსრ პროკურატურამ გაუქმა ქ. ზუგდიდის პროკურორის თანაშემწის, გ. სორდიას მიერ 1980 წლის 6 დეკემბერს გამოტანილი დადგენილება ზ. ტროქსას და სხვათა მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ და საქმეზე დამატებითი გამოძიების მოწყობა დაავალა ზუგდიდის რაიონის პროკურატურას.

6 თვის განმავლობაში იძიებდა საქმეს პროკურორის მოადგილე მ. გახოკიძე. გამოძიებამ არ შეასრულა დადგენილების ყველა მითითება, ბევრი საკითხი კვლავ გაურკვეველი და ბუნდოვანი დარჩა და მ. გახოკიძემ 10 აგვისტოს დაწერა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ.

წინა გამოძიების მასალებით ზუსტად არ იყო გარკვეული, ვინ მართავდა დაჯახების წინ ზ. ტროქსას ავტომანქანას — თავად მფლობელი თუ მისი მეუღლე. ამიტომ დადგენილება გამოძიებას ავალებდა ზედმიწევნით და ყოველმხრივ შეეგროვებინა ყველა დამამტკიცებელი საბუთი, გაერკვია, რატომ იყო წინააღმდეგობები მოწმეთა ჩვენებებში და ზუსტად დაედგინა, თუ ვინ მართავდა მანქანას. მ. გახოკიძემ, მართალია, დადგენილად ჩათვალა, რომ მანქანას ნუნუ შალვას ასული ჯორჯიკია-ტროქსა (ზოლტან ტროქსას მეუღლე) მართავდა, მაგრამ ამის დასადგენად იგი მხოლოდ ერთი მხარის მიკერძოებულ მოწმეთა ჩვენებებს დაეყრდნო, ხოლო ის მოწმეები, რომელთა ჩვენებას ამ საკითხის გარკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, არ დაუკითხავს, ასევე ზერელედ მოეკიდა იმის გარკვევას, ნასვამი იყო თუ არა დაჯახების მომენტში ზოლტან ტროქსა. თუმცა ამაზე თავის ჩვენებაში მიუთითებს ავტოინსპექტორი გ. კვარაცხელია. მან გამომძიებელ ბ. ბობუას თვითონ ჩაბარა ზოლტან ტროქსა, რომელსაც სიმთვრალე აშკარად ეტყობოდა. ბ. ბობუამ კი იგი შემთხვევის ადგილიდან სადღაც წაიყვანა, მაგრამ სიმთვრალის ფაქტის დასადგენად არც ზოლტან ტროქსა და არც სხვა არავინ არ შეამოწმებინა.

გაუთავებელი ძიების მოლოდინში...

როცა ყყალი სათავეში იმღვრევა

ადრინდელი გამოძიების მასალებში წინააღმდეგობანი იყო ავტოსაინჟინრო ტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტების დასკვნებს შორის. ამიტომ ხელახალ გამოძიებას მაქსიმალური ღონისძიებანი უნდა განეხორციელებინა, რათა შეეგროვებინა მასალები ექსპერტიზის მოთხოვნის შესაბამისად და კვლავ მოეწყო ავტოტექნიკური (ტრასოლოგიური) ექსპერტიზა კომისიური წესით, მაგრამ ეს საკვლევებელი მითითება მ. გახოკიძემ არ შეასრულა. მან დაუზუსტებელი და გაურკვეველი დატოვა სხვა საკვანძო საკითხებიც, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მომხდარი ფაქტის გამო ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისათვის.

ცხადია, ავტოავარია მოხდა მოძრაობის წესების უხეში დარღვევის შედეგად. ვინ დაარღვია წესები? ვისი მანქანა მიქროდა ტრასაზე გადამეტებული სიჩქარით? რატომ დროულად არ დაამუხრუჭა ეიგული 21003-ის მძღოლმა თავისი ავტომანქანა, როცა მას, როგორც ძიების მასალები მოწმობს, შესაძლებლობა ჰქონდა 300-400 მეტრი მანძილიდან დაენახა სწორ ტრასაზე ღერძულა ხაზზე მდგარი თუ ოდნავ მოძრავი ეიგული 21011, ხომ შეეძლო თავის მხარეზე მარჯვნივ ისწავლა, ცივ იარაღს მუდამ თან ატარებდა და საბოლოოდ სწორედ ამ იარაღით ჩაიდინა საზარელი დანაშაული.

მკვლელს განსაზღვრა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა, რასაც საზოგადოებრიობა კმაყოფილებით შეხვდა, მაგრამ ეს საქმის ერთი მხარეა. არის მეორე, და ფრიად დამფიქრებელი მხარეც, რომელსაც მიზეზს ვუწოდებთ.

სანამ მიზეზს გავარკვევდეთ, მოვიშველიოთ სტატისტიკა: სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის უმეტესობა — მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ხულიგნობა ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებაში — სმითვრალეში.

რა უწყობს ხელს სიმთვრალეს?

ძალიან ხშირად ალკოჰოლიანი სასმელების ვაჭრობის წესების უხეში დარღვევა, როცა ბახუსის მოყვარულები ადვილად პოულობენ თავშესაფარს მაღაზიის სარდაფებში, საწყობებში, სადაც, დირექციის უკონტროლობისა და დანაშაულებრივი უყურადღებობის გამო, დილიდან საღამომდე ღრეობენ.

მაგრამ მარტო სარდაფებსა და საწყობებში როდი ნახავთ ასეთ სურათს. შეიხედეთ კაფეებში. სახინკლეებსა და ლუდის ბარებში, პავილიონებში, სადაც მაგარი სასმელების გაყიდვა სასტიკად აკრძალულია, და ნახავთ მაგიდებზე ჩამწკრივებულ არყისა და კონიაკის დაცლილ ბოთლებს, ტროტუარებზე მობარბაცე ადამიანებს, რომლებიც აშკარად უპატივცემულობას იჩენენ გამვლელ-გამომვლელებისადმი, არღვევენ მართლწესრიგს, სჩადიან დანაშაულს.

ლოთობა — უბედურების სათავე

ალკოჰოლიანი სასმელების ვაჭრობის წესები უხეშად ირღვევა

ეს საზარელი ამბავი 26 კომისრის რაიონში მდებარე „ბილისკვებვაჭრობის“ № 24 მაღაზიის დარბაზში მოხდა. ითობით ადამიანის თვალწინ ერთმა გარეწარმა გულმკერდის არეში სამჯერ ჩასცა დანა ახალგაზრდა კაცს და სიცოცხლეს გამოასალმა.

სისხლის სამართლის სამძებრო მუშაკებს ბორტმოქმედის დასადგენად დიდი ჯაფა არ დასდგომიათ, ამიაკ კარაპეტიანი მეორე დღეს თავისი ფეხით გამოცხადდა 26 კომისრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში და განაცხადა, რომ ამხანაგი მოკალ.

ძიების დროს დამნაშავე მოგონილ ამბებს ჰყვებოდა, სხვა დასხვა ვერსიას თხზავდა. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მას თავის გადასარჩენად სჭირდებოდა.

სინამდვილეში კი აი რა მოხდა?:

ა. კარაპეტიანმა მაღაზიაში სიგარეტი იყიდა, შემდეგ სარდაფში ჩავიდა, სადაც ერთ-ერთი გარდაცვლილის პატივსაცემად სუფრა იყო გაშლილი. იგი ცალკე „მაგიდასთან“ — ყუთთან უცნობთან მოკალათდა და ღვინო დაიდგა. შვიდ საათამდე, სანამ მაღაზიის თანამშრომელი სერგო მურადიანი სარდაფს არ დაეტოვა და გვარიანად შეზარხოშებულებს არ გაისტუმრებდა, იქაურობას არ მოსცილებია.

ლოთი ერთ-ერთ „უცნობთან“ ერთად ბანცალ-ბანცალით ამოძვრა სარდაფიდან, მაღაზიის წინ მოულოდნელად ჯარის ამხანაგს ირაკლი კაპანაძეს შეეფეთა, რომელსაც თვალი აარიდა, მაგრამ ირაკლიმ მას მხარზე ხელი დაადო და გაოცებულმა ჰკითხა:

— ვერ მიცანი, ბიჭო?

პასუხად ამაიაკის „უცნობმა“ ამხანაგმა სილა გაუწნა ირაკლის. დაეთ კაპანაძე, ირაკლის ახლობელი, რომელიც ამ ამბავს შეესწრო, შეეცადა გაერკვია ჩხუბის მიზეზი. როგორც კი იგი ამიაკს მიუახლოვდა, ამ უკანასკნელმა დანა ამოიღო და მოსაკლავად გამოეკიდა, გაქცეულს რომ ვერ დაეწია, ირაკლისკენ იბრუნა პირი.

ირაკლი მაღაზიაში შეევარდა, ბოლოს ა. კარაპეტიანმა, რომელიც გინებით იკლებდა იქაურობას, კუთხეში მიიმწყვდია უდანაშაულო და...

იარაღის უნებართვო ტარებისათვის ა. კარაპეტიანი ერთხელ გასამართლებული, მაგრამ უსაქმურმა ჭაჟა მაინც ვერ

კომკავშირელმა ლ. ჩაჩანიძემ თბილისის 128-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ქალაქის ავტოინსპექციაში ინსპექტორად დაიწყო მუშაობა. იგი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას და კოლექტივის პატივისცემა აქვს მოხვეჭილი.

სერჟანტი ლ. ჩაჩანიძე ამჟამად სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. ორეოლის მილიციის დაუსწრებელი სკოლის მოსწავლეა, შემდეგ კი ფიქრობს სწავლა განაგრძოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

სურათზე: თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის საგზაო-საპატრულო ზედამხედველობის ქვედანაყოფის ინსპექტორი, სერჟანტი ლიანა ჩაჩანიძე.

ვ. გენგბურის ფოტო.

მიხეილ კვესელავა

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი და მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, სკკპ წევრი 1942 წლიდან **მიხეილ ალექსანდრეს ძე კვესელავა.**

მ. კვესელავას მთელი შეგნებული ცხოვრება და მოღვაწეობა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და ხალხის სამსახურის შესანიშნავი მაგალითია. იგი დაიბადა 1918 წელს თბილისში. 1936 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, იგი დატოვეს უნივერსიტეტის ასპირანტურაში. პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა მ. კვესელავამ როგორც უნივერსიტეტის უფროსმა მასწავლებელმა დიდი სამამულო ომის წინ დაიწყო. 1941-1945 წლებში იარაღით ხელში იბრძოდა სამამულო ომის ფრონტებზე. მ. კვესელავა მონაწილეობდა ნიურნბერგის ცნობილ პროცესში.

1946 წლიდან მ. კვესელავამ კვლავ განაგრძო ნაყოფიერი პარტიული, პედაგოგიური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მისი მრავალმხრივი ნიჭი, ორგანიზატორული ტალანტი სრულად გაიშალა სხვადასხვა სახეობის პასუხსაგებ პოსტებზე მუშაობისას. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში, ის ხომ 1946-1949 და 1961-1963 წლებში სათავეში ედგა კინოსტუდია „ქართულ ფილმს“. მ. კვესელავამ ღირშა კვალი დატოვა რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის განვითარებაში, ახალგაზრდობის აღზრდისა და მომავალი სპეციალისტების მომზადების საქმეში. იგი 1951-1952 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტს, ხოლო 1958-1961 წლებში იყო თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი. მ. კვესელავა 1952-1953 წლებში მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილედ, ხოლო 1956-1958 წლებში — მეცნიერების, სკოლებისა და კულტურის განყოფილების გამგედ. 1958-1956 წლებში მ. კვესელავა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარეა.

1963 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მ. კვესელავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი იყო.

პროფესორ მ. კვესელავას კალამს ეკუთვნის ფუნდამენტური მონოგრაფიები ევროპული და ქართული ლიტერატურის კარდინალურ საკითხებზე, მათ შორის აღსანიშნავია „ბულგარული ლიტერატურა“ (1953 წ.), „ადამ მიცკევიჩი“ (1956 წ.), ორტომეული „ფაუსტური პარადიგმები“ (1961 წ.), „პოეტური ინტეგრალები“ (1978 წ.), აგრეთვე დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი სამტომიანი ეპოპეა „ეს ერგასის დღე“ (1969 წ.), ამ შრომებმა საყოველთაო აღიარება დაიმსახურა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

პროფესორი მ. კვესელავა დაჯილდოებული იყო იშვიათი პედაგოგიური ნიჭით. მისი ხელმძღვანელობით გაიზარდა მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი. მ. კვესელავას ლექციები და სამეცნიერო გამოსვლები გამოირჩეოდა მაღალი პროფესიული კულტურით, დიდი ცოდნითა და მჭევრმეტყველებით.

პროფესორ მ. ა. კვესელავას პედაგოგიური, სამეცნიერო, საზოგადოებრივი და მეომრული დამსახურება აღინიშნა მთავრობის 12 ორდენითა და მედლით.

წავიდა ჩვენგან დიდსულოვანი ადამიანი, გამოჩენილი ლიტერატურათმცოდნე, რომელმაც ნათლად მოიხადა ვალი თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ე. შევარდნაძე, გ. ენუქიძე, თ. მენთეშაშვილი, ო. ჩერქეზიანი, ნ. ჯანგელარიძე, დ. ჩხიკვიშვილი, ნ. ლალიძე, ა. დვალიშვილი, ნ. დუმბაძე, ე. შენგელაია, ა. გიორგლელიძე, გ. მაკაცარია, ვ. კეფელავა, ვ. ოკუჯავა, გ. ციციშვილი, თ. ბუაჩიძე, ს. ჯორბენაძე, გ. ლორთქიფანიძე, რ. ჩხეიძე, გ. დვალიშვილი, გ. მელაძე, ე. გუგუშვილი.

გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩიის“ ინტერვიუ

ბაკურ სულაკველთან

**ბ. სულაკველ, ბატონო ბაკურ, ბევრ ადამიანს ეგონა, ალბათ, ეგონა ალბათ, ეგონა ალბათ, ეგონა

წარუშლელი კვალი

ილია აბულაძის დაბადების მე-80 წლისთავის გამო

ილია აბულაძე ადრე გამოაკლდა ქართულ მეცნიერებას. მას არაერთი დაუმთავრებელი შრომა დარჩა, ბევრი — განუხორციელებელი მიზანი, მოელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე იგი ქართული მეცნიერების განვითარებას ემსახურებოდა ერთგულად და უანგაროდ. დღეს, როდესაც უკვე დიდი დრო გავიდა მეცნიერის გარდაცვალებიდან და დრომაც გამოსცადა მისი ნაღვაწი, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ი. აბულაძის შრომები ქართული ფილოლოგიის მეცნიერების იმ ოქროს ფონდს განეკუთვნება, რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს.

ილია აბულაძე 1901 წელს დაიბადა ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარაში. ქუთაისის ვაჟთა I გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიტყვიერების განყოფილებაზე. დაასრულა იგი და ასწავლა განგრძო ლინგვისტიკის განყოფილებაზე. ნიჭიერებით გამორჩეული უნივერსიტეტის კურსდამთავრებული დატოვეს ასპირანტურაში სომხური ენისა და ლიტერატურის განსწრთან.

ჩვენ, მისი კოლეგები, სიამაყით ვიხსენებთ, რომ 1953 წელს ი. აბულაძე სათავეში ჩაუდგა სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას, ხოლო 1958 წლიდან დაინიშნა მისი დიდი მეცადინეობით ახლად ჩამოყალიბებულ ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორად. ინსტიტუტის უცვლელი დირექტორი იყო იგი გარდაცვალებამდე.

ილია აბულაძის შრომები არა მარტო მრავალრიცხოვანია, არამედ მრავალფეროვანიც თავისი თემატიკით. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება გამოიყოს ძირითადი საკვლევი პრობლემები, რომლის ირგვლივაც ჯგუფდება მისი შრომების დიდი ნაწილი. ეს არის: ქართული ლექსიკოლოგია და გრამატიკული ლიტერატურა, ქართული ბიბლია, უძველესი ქართული მრავალთავები, ორიგინალური და ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, ბალავარიანი, ქართული ალოთეგმური ლიტერატურა (ლიმონარი, პატერიკები), უძველესი ჰიმოლეტიკური ძეგლებები, ძველი ქართული ლექსიკა, „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტოლოგია და ლექსიკა, ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი.

ი. აბულაძე შესანიშნავად ფლობდა ძველსა და ახალ სომხურ ენას, კარგად იცოდა სომხური საისტორიო წყაროები, პალეოგრაფია და ეპიგრაფიკა. ამ თავის ღრმა და მრავალხრივ ცოდნას იგი იყენებდა არა მარტო როგორც მკვლევარი, არამედ როგორც ჩინებული პედაგოგიც.

ცოდნის ეს დიდი მარაგი მან შეიძინა ჯერ კიდევ ასპირანტურის წლებში, როდესაც ხანგრძლივად ცხოვრობდა ერევანსა და სტეფანავანში და თავაუფლებლივ მუშაობდა ეჩმიაძინის წიგნთსაცავში ხელნაწერებზე.

ეჩმიაძინში ელოდა მეცნიერს დიდი აღმოჩენაც. 1937 წელს იქ მუშაობისას მან მიაკვლია XV საუკუნის ხელნაწერს — ანბანენის კრებულს, სადაც სხვა ანბანთა შორის ალბანური ანბანიც იყო; ანბანი იმ ხალხისა, რომლის არსებობაზეც მხოლოდ ისტორიული წყაროებიღა ღაღადებდნენ, მისი ენა და დამწერლობა კი უკვალოდ დაკარგულად ითვლებოდა. ალბანური ანბანის აღმოჩენით ახალი ეტაპი დაიწყო ალბანელი ხალხის ისტორიისა და კულტურის შესწავლაში. აღმოჩენას მრავალი მეცნიერი გამოეხმაურა აღტაცებით. აკადემიკოსმა ნიკო მარი ალბანური ენიგმა უწოდა.

ამ ფაქტის გამო აღფრთოვანებით წერდა აკადემიკოსი ჰ. აჭარიანიც.

დიდი მეცნიერული წვლილი

შეიტანა ი. აბულაძემ როგორც ქართველოლოგიის, ასევე არმენოლოგიის განვითარებაში. მეცნიერი ბრწყინვალედ იცნობდა ქართულ და სომხურ ხელნაწერ ფონდებს, როგორც ადგილობრივს, ასევე საზღვარგარეთისას. ბუნებრივია, ასეთი მომზადების მეცნიერისათვის ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლის ფართო ასპარეზი გადაიშალა. საკმარისია დავასახელოთ ამ დარგში მისი ძირითადი შრომები, კერძოდ, საკანონიდატო დისერტაცია „მარტვილობა შუშანიკისი“. ამ სანიმუშო ნაშრომში ი. აბულაძემ შეისწავლა ყველა ისტორიული წყაროა სომხურ და ქართულ ენებზე და ფართო ისტორიული ასპექტით განიხილა ძეგლის შექმნის დრო, მიზეზები, ადგილი, ავტორის ვინაობა.

IX-X საუკუნეების ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლას მიეძღვნა ი. აბულაძის სადოქტორო დისერტაცია. ეს შრომა აგებულია ორენოვან ტაოში შექმნილ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებზე — ორიგინალურსა და თარგმნილზე. შრომაში გადაწყვეტილია ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის არაერთი კარდინალური საკითხი.

ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემას ილია აბულაძე შემდგომშიც არაერთხელ დაუბრუნდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნარკვევების ციკლი რუსთაველის ეპოქაში ქართულიდან სომხურად თარგმნილ ფილოსოფიურ თხზულებებზე.

ი. აბულაძემ არმენოლოგიის მრავალი დარგი ქართული ფილოლოგიისა და ისტორიოგრაფიის სამსახურში ჩააყენა, ამავე დროს ბევრი გააკეთა საკუთრივ არმენოლოგიისთვისაც, ვინაიდან მისი სომხურ-ქართული შტუდიები ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ქართული, ასევე სომხური მეცნიერებისათვის.

დიდი დრო და ენერგია შეალია ი. აბულაძემ სულხან-საბა ორბელიანის ნარედაქციევი ბიბლიისა და ლექსიკონის შესწავლას. ილია აბულაძეს აქაც ძალი გამოადგა ძველი სომხური ენისა და სომხური ხელნაწერების ჩინებული ცოდნა.

საბა ორბელიანის ლექსიკონისა და ბიბლიის სომხური წყაროების ძიება მოსამზადებელი საფეხური იყო იმისათვის, რომ ი. აბულაძეს ხელი მოეკიდა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ახალი გამოცემისათვის, რომელიც დაეყრდნობოდა ყველა ავტოგრაფულ ნუსხას მათი რედაქციული თანამიმდევრობის დაცვით.

ლექსიკური ძიებანი ერთ-ერთი გამორჩეული საკვლევო თემა იყო ილია აბულაძისათვის მოღვაწეობის მთელ მანძილზე. სწავლობდა რა ძველ ქართულ და ძველ სომხურ ტექსტებს, ორიგინალურსა თუ თარგმნილს, ნაბეჭდსა თუ ხელნაწერებს, იგი უყურადღებოდ არ ტოვებდა არც ერთ საინტერესო ლექსიკურ ერთეულს თუ იშვიათ გრამატიკულ ფორმას. ასე გამოიკვეთა გამოკვლევების რამდენიმე სერია.

ტექსტების შესწავლის პროცესში მოპოვებული ლექსიკური მასალა თავს იყრიდა ძველ ქართულ-ძველ სომხურ ლექსიკონის კარტოთეკაში, რომელზეც ი. აბულაძე მთელი სიცოცხლე მუშაობდა, რათა შეედგინა და გამოეცა ძველ ქართული-ძველ სომხური პარალელური ლექსიკონი. ამ სახით შეადგინა მან ლექსიკონის პირველი ვარიანტი, მაგრამ შემდეგ, იმის გამო, რომ ძალიან დიდი მოთხოვნილება იყო ქართულ სამეცნიერო წრეებში საკუთრივ ძველი ქართული ენის ლექსიკონზე, გადაწყვიტა ეს ლექსიკონი ცალკე მოემზადებინა გამოსაცემად. ი. აბულაძემ ეს სამუშაო თითქმის ბოლომდე მიიყვანა. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, რომელიც გამოსცა ხელნაწერთა ინსტიტუტმა მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ, შეიცავს 150 წყაროდან ამოკრეფულ 12.000 სტატიას. ლექსიკონი სამაგიდო წიგნია სამეცნიერო წრეებისათვის და დიდად გამოსაყენებელია ფართო საზოგადოებისათვისაც.

ილია აბულაძეს, ფართო მომზადებისა და დიდი გამოცდილების ფილოლოგს, ძალიან კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა კარდინალური საკითხები უნდა გადაეწყვიტა ახლო მომავალში ქართულ ფილოლოგიას სხვა ჰუმანიტარულ დარგებთან ერთად და რა მიმართულებით უნდა განვითარებულიყო ქართული ფილოლოგია და კოდიკოლოგია. ი. აბულაძემ ისიც კარგად იცოდა, რომ უმდიდრესი ქართული ხელნაწერებისა და ისტორიული პირველწყაროების შესწავლა და გამოქვეყნება პირველი და აუცილებელი პირობა იყო ქართული ჰუმანიტარული დარგების შემდგომი წინსვლისათვის. ამიტომ 1953 წლიდან, როდესაც იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას, უკვე ნათლად ჰქონდა დამუშავებული როგორც განყოფილების სამეცნიერო კადრების მომზადების, ასევე ხელნაწერი ფონდების მოვლა-მოწესრიგების პროგრამა. ყველაფერი კეთდებოდა იმ ვარაუდით, რომ ქართული უმდიდრესი სულიერი საგანძურის ბაზაზე შექმნილიყო სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელიც გაუძღვებოდა მრავალენოვანი ფონდების მეცნიერულ შესწავლას და პუბლიკაციას.

რაც შეეხება ი. აბულაძის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის პოსტზე მოღვაწეობას, ეს ცალკე დიდი თემაა. მასზე შეიძლება ძალიან ბევრი რამ საინტერესო და ყურადსაღები დაიწეროს. მოკლედ კი შეიძლება ითქვას, რომ, თუ დღეს ინსტიტუტს აქვს თავისი გამოკვეთილი სამეცნიერო სახე, თუ ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივმა რაიმეს მიაღწია, თუ ჩვენი ეროვნული საგანძურის — ხელნაწერების მოვლა და დაცვა შეესაბამება ყველა საჭირო მოთხოვნას, ეს იმ დიდი, უანგაროო თავდადებული და მიზანდასახული მეცნიერული და ორგანიზაციული მუშაობის შედეგია, რომელსაც ეწეოდა ილია აბულაძე ინსტიტუტის დაარსების დღიდან სიცოცხლის ბოლომდე.

ხელნაწერთა გაწყობილებასა და ხელნაწერთა ინსტიტუტში მოღვაწეობის წლები ი. აბულაძისათვის დიდად პროდუქტიული იყო. სწორედ ამ წლებში გამოაქვეყნა მან თავისი მონოგრაფიების უმრავლესობა.

ამ პერიოდში გამოიკვეთა ი. აბულაძის სამეცნიერო პრობლემატიკის ერთი ახალი თემა — IX X საუკუნეების უძველესი ქართული თარგმანები, შესრულებული პალესტინის ქართულ სამწყობრო კერებში, არაბულ გარემოცვაში. ესენია: „ბალავარიანის ქართული რედაქციები“, „ლიმონარი“, „მამათა სწავლანი“ და უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ეკესეთა დღეთათჳს“ და გრიგოლ ნოსელის „კაცისა აგებულებისათვის“.

ი. აბულაძე ადვილ საქმეს არასდროს ჰკიდებდა ხელს. რაც უფრო რთული და საკამათო იყო ესა თუ ის საკვლევი პრობლემა, მით უფრო შეუპოვრად შეებმებოდა ხოლმე. მისი სამეცნიერო წერილი თუ წიგნი ყოველთვის შეიცავდა ახალ მასალას. აბულაძის შრომებში ძნელია შეცდომების ან მოუმწიფებელი ვარაუდების პოვნა. მასთან ყოველი სიტყვა აწონილი და დასაბუთებულია და მასალის ბრწყინვალე ცოდნაზეა დამყარებული. ილია აბულაძეს მრავალი პატივისმცემელი, ხოლო მის შრომებს მრავალი დამფასებელი ჰყავს როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში.

სახელოვანი ორიენტალისტი ქ. გარიტე ქართველი მეცნიერისადმი მიძღვნილ წერილში ასე აფასებდა ილია აბულაძის სამეცნიერო მოღვაწეობას: „ილია აბულაძის შრომები ხასიათდება უმაღლესი მეცნიერული ღირსებებით, ეს ყველაფერში ჩანს: მის დაუღალავ და შეუპოვარ შრომაში, მის მკაცრ ობიექტურობაში, მის ფილოლოგიურ და პალეოგრაფიულ აკრიბიაში, ლინგვისტურ დაკვირვებაში, მის უნაკლო ერუდიციაში და კრიტიკული გონების სიღრმეში. მისმა პუბლიკაციებმა ძალიან მაღალი შეფასება მიიღეს ყველა სპეციალისტისა არა მარტო მის ქვეყანაში, არამედ უცხოეთშიც“.

წრფელი, მართალი სიტყვებია...

ე. მეტრეველი,
ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ზეიმი ბესლახუბაში

ოჩამჩირე. (ხაკ. კორ.). არც ისე დიდი ხანია, რაც ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის მახარაძის სახელობის და მახარაძის რაიონის სოფელ კონკათის კოლმეურნეობათა მშრომელები ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ. ამას წინათ მახარაძეში მეგობრების მიწვევით იმყოფებოდა ოჩამჩირის რაიონის მშრომელთა დელეგაცია, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივანი კ. სალია მეთაურობდა.

სულ ახლახან კი ოჩამჩირელები მასპინძლობდნენ გულთბილად თავიანთ მეგობრებს — მახარაძის რაიონის დელეგაციას, რომელსაც საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ო. თენეიშვილი ხელმძღვანელობდა.

მახარაძელი სტუმრები მიიღეს პარტიის ოჩამჩირის რაიკომში, სადაც ისაუბრეს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაზე, ორი რაიონის მიღწევებსა და მომავლის ამოცანებზე.

შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს რაიონის ღირსშესანიშნაობანი. ისინი დაინტერესდნენ კომბინირებული საკვების ქარხნის მშენებლობით. ეს ობიექტი, რომელიც მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა ამუშავდეს, დღე-ღამეში 630 ტონა კომბინირებულ საკვებს დაამზადებს და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მეცხოველეობის ინტენსიური აღმავლობის საქმეს აფხაზეთში.

დღის მეორე ნახევარში სტუმრები გაემართნენ ბესლახუბისაკენ. სოფლის მისასვლელთან მათ შეეგებნენ შრომაში გამარჯვებული მემინდვრეები, უხუცესი კოლმეურნეები, მოსწავლეები. გაისმა ძმობის, მეგობრობის, შრომის სადიდებელი სიმღერები და ლექსები.

საზეიმოდ მორთული სოფლის კულტურის სახლში მოსავლისა და მეგობრობის ზეიმი შესავალი სიტყვით გახსნა ბესლახუბის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანმა ლ. ალანიამ.

ორი კოლმეურნეობის წარმატებათა მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორზე — სოციალისტურ შეჯიბრებზე, ძმობისა და მეგობრობის ძალაზე ილაპარაკა ბესლახუბის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. ბერულავამ. კოლმეურნეობამ, როგორც წინა წლებში, მიმდინარე წელსაც გადაჭარბებით შეასრულა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა-ვალდებულებანი, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს თამბაქოს ჩაბარება, აღმავლობის გზაზეა მეცხოველეობა. ენერგიულად შრომობენ სოციალისტური შრომის გმირი ა. ვოუბა, ორდენსნები თ. ბობუა, გ. გელაშვილი, ა. ბენდელიანი, ა. ლიპარტია, ბრიგადიერები კ. ფიფია, შ. ადლეიბა და სხვები.

შესანიშნავი შრომითი გამარჯვებებით აგვირგვინებს მიმდინარე წელს კონკათის კოლმეურნეობა. როგორც მისმა თავმჯდომარემ კ. ჩანჩიბაძემ აღნიშნა, წელს მოკრეფეს 2.730 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, შეასრულეს რძისა და ხორცის დამზადების დავალებანი.

დამსწრენი დიდი ინტერესით შეხვდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული მოწინავე მეჩაიეებს — ბესლახუბელი მაყვალა გელაშვილის და კონკათელი ნათელა მახარაძის გამოსვლებს.

მოსავლისა და მეგობრობის ზეიმზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის მახარაძისა და ოჩამჩირის რაიკომების პირველი მდივნები ო. თენეიშვილი და კ. სალია, ბესლახუბის საბალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. მანია, ოჩამჩირეში სტუმრად მყოფი გენიჩესკის რაიონის თეკზომბინატის დირექტორი ა. გუხარევიჩი და სხვები.

ზეიმში ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ვითარებაში ჩაიარა.

ამენდა, მწყობრში ჩადგა

□ **ამბროლაური.** (ხაკ. კორ.) **კარგი საქმე გააკეთა საგზაო-საწარმოო უბნის (უფროსი პ. ბაკურაძე) მოწინავე კოლექტივმა, რომელმაც ხოტეკ-თლულის მიმართულებით ახალი, ფართო ხაავტომობილო შარაგზა გაიყვანა.** კიდევ ერთი მაღალი მთის სოფელი თლული დაუკავშირდა რაიონულ ცენტრს კეთილმოწყობილი გზით.

ყოველ წელს ახალი გზა! — ეს დევიზი ტრადიციად აქციეს ამაურმა გზის მშენებლებმა. ახლა რაიონში ძნელად დასახელებთ ისეთ სოფელს, სადაც ავტომანქანით მისვლა არ შეიძლებოდეს.

□ **ტყიბული.** (ხაკ. კორ.). **სტალინის სახელობის შახტის მუშა-მოსამსახურეთა 45 ოჯახმა ახალმოსახლეობა იზეიმა: დიმიტროვის ქუჩაზე ახლად აგებულ ხუთსართულიან საცხოვრებელ სახლში მათ კომფორტული, ფართო და ნათელი ბინები მიიღეს.**

ამავე დღეებში ქალაქის შეხვედლელთან აშენდა და ჩაეშვა ლოატაციოდ გადაეცა რეხუპლიკის მთავარნავთობმომარაგებაგადაბადების სამმართველოს ნავთობბაზის კომპლექსი. მისი დიდი ტევადობის ავზები განკუთვნილია სხვადასხვა მარკის ბენზინის ზეთისა და ნავთობისათვის.

ნავთობბაზა მომსახურებას უწევს ამბროლაურისა და ონის რაიონებს.

ჟურნალისტი

აფხაზეთი ხვდება ჩემპიონს

ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის გაზეთებში გამოქვეყნდა ბრძანებულება ქალაქ სოფლიო ჩემპიონის მაია ხ[illegible] რდანიძის აფხაზეთის ასსრ აღმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპეციალური სიგელით დაჯილდოების თაობაზე.

იმავე დღეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში გაიმართა შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონთან. გამოჩენილ საბჭოთა სპორტსმენ [illegible] გულთბილად მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობაკანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ტარბა. მან მადლობა გადასცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიუმის სპეციალური სიგელი, რომელიც, ითქვა, იგი დაჯილდოდა [illegible] საჩინო სპორტული მიღწევებისა და ადამიანურ-ადამიანური ურთიერთობისა და ფიზიკური კულტურის განვითარებისა და პოპულარიზაციაში დიდი წვლილისათვის.

საღამოს კი აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის „ჭანბას“ სახელობის „საპატიო ბჭნის“ ორდენოსან სახელმწიფო დრამატულ თეატრში სოფლიო საზოგადოებრიობამ [illegible] შეხვედრა მოუწყო ჩემპიონს. [illegible] დედოფალს. აქ მსოფლიოს [illegible] გზის ჩემპიონი შეამკეს ოქროფერი ნაყოფით დახუნძლული მანდარინის რტოების გვირგვინით.

მ. ჩიბურდანიძემ დიდი [illegible] ლობა გადაუხადა ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებს [illegible] ლითადი მიღებისათვის.

„ზარია ვოსტოკის“ კრიზისი

თბილისს სპორტის სასახლეში დასასრულს მიუახლოვდა [illegible] ლბურთელ ვაჟთა გუნდების [illegible] რთამშორისო ტურნირი. [illegible] გაიმართა ბოლოსწინა ტურის [illegible] ჩები, რომელთა შედეგებსაც [illegible] მოთ გთავაზობთ:

ბულგარეთ-უნგრეთი — 17:[illegible] სსრ კავშირი-იუგოსლავია [illegible] 27:14, საქართველო-ესპანეთი [illegible] 26:28.

ბოლო ტურის წინ გუნდ[illegible] სატურნირო მდგომარეობა [illegible] თია: სსრ კავშირი — 8 ქ[illegible] ესპანეთი და უნგრეთი — [illegible] იუგოსლავია და საქართველო [illegible] 2-2, ბულგარეთი — 0 ქულ[illegible]

საზურნალო ორბიზა

ბაღდასარი. ლენინგრადში [illegible] ლდება მოჭადრაკე ქალთა მ[illegible] ლიო ჩემპიონატის ახალი [illegible] ლის ზონალური ტურნირი. [illegible] ვაზობთ მორიგი შეხვედრ[illegible] შედეგებს. **მეორე ტური.** კოზ[illegible] ვსკაია-მუჩნიკი — 1:0, ზატეკ[illegible] სკაია-მინოგინა — 0,5:0,5, ტ[illegible] რენკო-ოსტრიი — 0,5:0,5, ლ[illegible] ჩუკი-ეკშტეინი — 0,5:0,5. ჩ[illegible] რანიკუს, ზაიცევა-ხუგაშვილი [illegible] ფათალიბეკოვა-სემიონოვას [illegible] ტიები გადაიდო; **მესამე ტური.** [illegible] ბტეინი-ზაიცევა — 1:0, რა[illegible] ლელჩუკი — 0:1, მუჩნიკი-ზ[illegible] ლოვსკაია — 0:1, სემიონოვა-[illegible] ლოვსკაია — 1:0, ხუგაშვ[illegible] ფათალიბეკოვა — 0,5:0,5, [illegible] გინა-ტიტორენკო — 0,5:0,5. [illegible] რიი-ჩეხოვას პარტია გ[illegible] **გადადებული პარტიები.** ჩეხ[illegible] რანიკუ — 1:0, ხუგაშვილ[illegible] ცევა — 1:0, ტიტორენკო-[illegible] კუ 1:0, ოსტრიი-ჩეხოვა — 0,5[illegible] მინოგინა-ალელოვსკაია — 0,5[illegible] სამი ტურის შემდეგ 2,5-2,5 [illegible] ლით ლიდერობენ ზატულოვ[illegible] და ლელჩუკი. ხუგაშვილს [illegible] ჯერობით 1,5 ქულა აქვს.

ფრუნზეში მიმდინარე მ[illegible] რაკე ვაჟთა 49-ე ჩემპიონ[illegible] მერვე ტურში მიხალჩინმა [illegible] გო ტუკმაკოვთან, კუპრეიჩი[illegible] იუდასინთან, გულკომ — [illegible] მოვთან. დაზავდნენ ბელიაკ[illegible] სვენნიკოვი და ცეშკოვსკი-რ[illegible] ნიშინი. დანარჩენი პარტიები [illegible] დაიდო. შეცხრე ტურში ფუდა[illegible] მა მოუგო გულკოს, ცეშკოვ[illegible] სვენნიკოვს. ყაიმით დამთავ[illegible] დორფმან-კუზმინის, რომანი[illegible] დოლმატოვის და გავრიკოვ-[illegible] ლჩიშინის პარტიები. დანარ[illegible] პარტიები გადაიდო. გადადებ[illegible] პარტიების დამთავრების წინ [illegible] მანიშნეს 5,5 ქულა ჰქონდა, [illegible] დასინს და კუპრეიჩიკს — [illegible] კასპაროვმა და ფსახისმა 4-4 [illegible] ლა დაიგრიფეს, მაგრამ მათ [illegible] პარტია ჰქონდათ დასამთავრ[illegible] ლი.

ეროვნიკა

საქართველოს სსრ მინისტ[illegible] რთა საბჭომ ამხ. ჯ. დ. კუბ[illegible] ვილი დანიშნა საქართველ[illegible] სსრ ადგილობრივი მრეწველ[illegible] ის მინისტრის პირველ მოად[illegible] ლედ.

საქართველოს სსრ მინისტ[illegible] საბჭომ ე. ა. **გვახალია** გაათ[illegible] უფლა: საქართველოს სსრ ად[illegible] ლობრივი მრეწველობის მ[illegible] ტრის მოადგილის თანამდებ[illegible] ისაგან პენსიაზე გასვლის გ[illegible]

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

თეატრი და ბავშვები

მიმდინარეობს ტრადიციული კვირეული

ბათუმში საზეიმოდ გაიხსნა თეატრალური ხელოვნების რესპუბლიკური კვირეული „თეატრი და ბავშვები“.

ეს ტრადიციული დღესასწაული საქართველოში უკვე მეშვიდედ იმართება და მისი პროგრამა მრავალ საინტერესო ღონისძიებას ითვალისწინებს. კვირეულის მანძილზე მოეწყობა თეატრის ნორჩ რეცენზენტთა რესპუბლიკური კონფერენცია, შეხვედრები თოჯინების რუსული და შაომიანის სახელობის სომხური თეატრის შემოქმედებითს კოლექტივებთან, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლის „ჰაკი ანბას“ განხილვა, „მასწავლებლის დღე“ მოზარდ მაყურებელთა ქართულ და რუსულ თეატრებში, ნორჩ მხატვართა რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის — „მე რომ თეატრის მხატვარი ვიყო“ — გახსნა და სხვ. დღესასწაულის ცენტრი კი აჭარის დედაქალაქია, დიდი სიხარულიც — თოჯინების თეატრის გახსნა ამჯერად აქაურ [illegible] კვირეული, რომელიც 14 დეკემბრამდე გასტანს, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მოზარდებში თეატრის სიყვარულის გაღვივებას და თეატრალური ხელოვნების საიდუმლოების შეცნობას.

ი. ჟუმბურიძე.

გამარჯვებული სპექტაკლი

ცხინვალს კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში ცნობა მოვიდა მოსკოვიდან. სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიამ, სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის კოლეგიამ შეაჯამა 1979-1980 წლების თეატრალური სეზონის საკავშირო დათვალიერების შედეგები და დრამატულ და მუსიკალურ-დრამატულ თეატრებს შორის მესამე ხარისხის დიპლომით და ფულადი პრემიით დააჯილდოვა სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართული სპექტაკლი — ა. ჩხაიძის „თავისუფალი თემა“.

— ამ წარმატებამ დიდად გააბრა მთელი დასი. სპექტაკლის აღიარება და გამარჯვება ახალ სტიმულს და შემოქმედებითს ენერგიას გვმატებს, — განაცხადა დამდგმელმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ უშანგ მინდიაშვილმა.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

გამარჯვებული სპექტაკლი

ცხინვალს კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში ცნობა მოვიდა მოსკოვიდან. სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიამ, სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის კოლეგიამ შეაჯამა 1979-1980 წლების თეატრალური სეზონის საკავშირო დათვალიერების შედეგები და დრამატულ და მუსიკალურ-დრამატულ თეატრებს შორის მესამე ხარისხის დიპლომით და ფულადი პრემიით დააჯილდოვა სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართული სპექტაკლი — ა. ჩხაიძის „თავისუფალი თემა“.

— ამ წარმატებამ დიდად გააბრა მთელი დასი. სპექტაკლის აღიარება და გამარჯვება ახალ სტიმულს და შემოქმედებითს ენერგიას გვმატებს, — განაცხადა დამდგმელმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ უშანგ მინდიაშვილმა.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ჰროგლემა, ძიება, გაოცებული

ერთ შემოდგომის დღეს ბიჭვინთის ნაპირს მოადგა პატარა საზეციერო-კვლევითი გემი „ვახუშტი ბაგრატიონი“. მეზღვაურებმა მაშინვე გადმოტვირთეს მოწყობილობა, რომელიც გათვალისწინებული იყო წყალქვეშა კვლევისათვის, — მყვინთავების ნავი, აკვალანგები და სხვა ინვენტარი. აქ, ნაპირზე გემს დახვდნენ „საქზღვისნაპირდაცვის“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მეცნიერი მუშაკები და სპეციალისტები. ზოგიერთ მათგანთან საუბარს ქვემოთ გადმოგცემთ. ეს მაშაკი, მტკიცე ნებისყოფის ადამიანები ჩვენს მკითხველს უამბობენ იმის შესახებ, თუ როგორ იკვლევენ ბიჭვინთის მახლობლად ზღვის ფსკერსა და ნაპირს, და რა უნდა გაკეთდეს, რომ პლაჟი და კურორტი წალეკვისაგან იხსნან.

ჯერჯერობით კი...

ცოტაოდენი ისტორია

ეს ამბავი, რომელმაც მეცნიერთა და სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო, 1969 წლის იანვრის დამდეგს მოხდა. სულ ერთი წლის ამოქმედებული იყო მაშინ ამჟამად უკვე სახელგანთქმული კურორტი ბიჭვინთა.

ოთხი იანვარი: ჩვეულებრივი ზამთრის დღე იდგა. შრიალებდნენ ბიჭვინთის ფიჭვები, ზღვა ქაფად იღვრებოდა ნაპირზე, ბევრი დამსვენებელი იყო სანაპიროზე.

და აი, სულ რამდენიმე საათში ზღვას ვეღარ იცნობდით. ძლიერი ქარი ამოვარდა, ბიჭვინთის ნაპირზე ზღვა უზარმაზარ ზვირთებს მოაგორებდა. ექვს-შვიდმეტრიანი ტალღები ერთმანეთს მოსდევდა და ნაპირზე ყველაფერს ანგრევდა. ყველაფერი ერთმანეთში აირია: აბობოქრებული ზღვა, ფიჭვების შრიალი, კაჭარისა და წვრილი ქვების გრიალი. მიწა ზანზარებდა. მაგრამ ამბავი ამით როდი დამთავრდა. ზვირთები სანაპირო კედელზე გადმოგორდა და ფიჭვნარში შეიჭრა. ძლიერი მოქცევის დროს ტალღებმა საკურორტო დარბაზისა და პანსიონატ „ზზიფის“ პირველი სართულები შეანგრიეს. იგივე მოხდა პანსიონატებში — — „ამრაში“, „კოლხეთში“ და „ოქროს ვერძში“. განნრიალდა სასწრაფო ღონისძიებანი. იმ შენობების წინ, რომლებსაც ზვირთები უტევნენ, გადარეცხილ ნაპირზე თვითმცელელები უზარმაზარ რკინაბეტონის კუბებს, სამშენებლო კონსტრუქციებს და ბლოკებს ყრიდნენ.

ნაპირისა და კურორტის დაცვის სწორი გადაწყვეტის მისაღებად საჭირო იყო მრავალი წლის კვლევა. დრო კი არ იცდიდა. შტორმი ხომ კვლავ შეიძლებოდა განმეორებულიყო! გადაწყვდა პანსიონატების „ამრისა“ და „კოლხეთის“ წინ დროებით დაეწყოთ ბეტონის კუბები. მათ შორის კი, გადარეცხილი პლაჟის ადგილს, მოეზიდათ და დაეყარათ ოცი ათასი კუბური მეტრი წვრილი ქვა.

მეცნიერთა ვარაუდი

— მრავალი წინადადება შემოიტანეს, თქვა კაგრინ სანაპირო სადაურის გემგემ, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. პუშკოვმა. ჯერ-ჯერობით, ვგთავაზობდნენ აგვეგო სხვადასხვა კონსტრუქციის ზვირთშთანმთქავები, შეგვექმნა კონცხის გარშემო გიგანტური პნევმატური ზვირთსაჩრელი: ზოგმა ისიც კი თქვა, შენობები ფიჭვნარის სიღრმეში გადავიტანოთო, ზოგმა გვირჩია გაგვეცხლა პანსიონატების პირველი სართულები და შენობები ხიმინჯებზე დაგვეტოვებინა, რათა ძლიერი ღელვის დროს ტალღებს შენობის ქვეშ გაეგლოთ. მაგრამ ეს საშიში იყო.

ერთი სიტყვით, შემოთავაზებული პროექტები არარეალური და ძვირადღირებული აღმოჩნდა. ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა აშენება კი მიზანშეწონილი არ არის, რადგან ეს დაარღვევდა ნაპირის განვითარებას არა მარტო კურორტის მიდამოებში, არამედ მეზობელ მონაკვეთებზეც.

მეცნიერთა აზრი პლაჟის ბუნებრივი აღდგენის საკითხში ერთმანეთს არ დაემთხვა. ზოგი ამბობდა, ზღვა დროთა განმავლობაში თვითონ აღადგენსო კურორტის პლაჟს, სხვანი სა